ყველაფერი პროფესიული
განათლების შესახებ

ALL ABOUT VOCATIONAL
EDUCATION AND TRAINING

პროფესიული პროგრამები

2023 წელი

პროფესიული პროგრამები

გამოქვეყნებული კატალოგი „პროფესიული პროგრამები 2023“ არის ჟურნალის „ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ - ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATION AND TRAINING " ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

კატალოგი „პროფესიული პროგრამები 2023“ გამოიცა ჟურნალის „ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ - ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATIONA AND TRAINING” ეგიდით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალისა და კატალოგის ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-ისა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

დამფუძნებელი:
ნინო ელბაქიძე

დიზაინერი:
მელანო კოპლატაძე

სტილის რედაქტორი:
მაია წიკლაური

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:
ომარ ტერტერაშვილი

შინაარსი

2 სსიპ კოლეჯი „აისი“
4 სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
6 სსიპ კოლეჯი „ერქვანი“
8 სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“
10 სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
12 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14 სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
16 სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18 სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“
20 სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
22 ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“
24 სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
26 ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
28 სსიპ კოლეჯი „იბერია“
30 ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“
32 სსიპ კასპის კოლეჯი
34 ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“
36 სსიპ კოლეჯი „მერმისი“
40 სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“
42 სსიპ კოლეჯი „მოდუსი“
44 შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
48 კოლეჯი „ჰორიზონტი“
50 ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
54 სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
56 ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
58 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
60 სსიპ კოლეჯი „სპექტრი“
62 თსუ „მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი“
64 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
66 სსიპ კოლეჯი „ფაზისი“
68 შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“
70 სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
72 სსიპ “ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი”
74 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

სსიპ კოლეჯი „აისი“

სოფელი კაჭრეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, კახეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში ლიდერი პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი ისტორია 1980 წლიდან იწყება. კოლეჯი ,,აისი“ -- მისი ისტორია, სასწავლო პროცესი, კურსდამთავრებულები, ინტელექტუალური პოტენციალი, პარტნიორებთან და კოლეგებთან ურთიერთობა – არის ერთგვარი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად ახლის ძიებაშია, მუდმივად ვითარდება და მუდმივად იმარჯვებს. კოლეჯი ,,აისი“ პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. სასწავლო პროცესი მიმართულია არა მხოლოდ სტუდენტის ინფორმაციითა და ცოდნით აღჭურვისკენ, არამედ ამ ცოდნის გამოყენებისა და განვრცობისკენ, მის საფუძველზე სიახლის ძიებისკენ. ამიტომ აქ, ცოდნის მიღების პარალელურად, სტუდენტებსა და მსმენელებს ეხმარებიან ძლიერი პიროვნული მახასიათებლების განვითარებაში, საზოგადოებასა და სოციალურ გარემოში ინტეგრაციაში, საკუთარი უნარებისა და სოციალური როლის გააზრებაში. კოლეჯის დაარსებიდან დღემდე აქ პროფესიული განათლება 50 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. კოლეჯი „აისი“ მოიცავს კახეთის თითქმის მთელ რეგიონს. ის ოთხ მუნიციპალიტეტშია განთავსებული: გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში.

კოლეჯ „აისს“ აქვს უნივერსალური დიზაინის სასწავლო გარემო, რომელიც ადაპტირებულია ნებისმიერი საჭიროების მქონე (სსსმ/შშმ) პირისთვის. კოლეჯი უნიკალურია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საწარმოებით, ლაბორატორიებით, სახელოსნოებითა და სხვადასხვა ტიპის მეურნეობებით. ის წარმოადგენს თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. „აისის“ კაჭრეთის ბაზაზე ფუნქციონირებს 300 სტუდენტზე გათვლილი კეთილმოწყობილი პანსიონი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია იცხოვროს სახელმწიფოს დაფინანსებით. კოლეჯში სწავლა, ასევე, ხორციელდება სახელმწიფოს სრული დაფინანსებით.

კოლეჯის მიზანია მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. მისი გუნდი მუდმივად ისწრაფვის განვითარებისა და სრულყოფისაკენ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი,
სოფელი კაჭრეთი

(+995 353) 200 493

kachreti@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

კაჭრეთი:

- მევენახეობა-მეღვინეობა - V დონე - დუალური (ხანგრძლივობა 3 წელი)
- მევენახეობა-მეღვინეობა - V დონე (ხანგრძლივობა 16 თვე)
- ვეტერინარია - V დონე (ხანგრძლივობა 22 თვე)
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება - IV დონე - ინტეგრირებული (ხანგრძლივობა 3 წელი)
- სატყეო საქმე - IV დონე (ხანგრძლივობა 9 თვე)
- მეფუტკრეობა - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- ინფორმაციის ტექნოლოგია - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- ელექტრობა - III დონე (ხანგრძლივობა 9,5 თვე)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები - III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- თმისა და სილამაზის მომსახურება - III დონე (ხანგრძლივობა 10,5 თვე)
- ხის მხატვრული დამუშავება - III დონე (ხანგრძლივობა 15,5 თვე)
- საექთნო საქმე - V დონე (ხანგრძლივობა 3 წელი)

დედოფლისწყაროს ფილიალი:

- ელექტრობა - III დონე (ხანგრძლივობა 9,5 თვე)
- ქვის სამუშაოების წარმოება - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- შედუღება - IV დონე (ხანგრძლივობა 15,5 თვე)
- თმისა და სილამაზის მომსახურება - III დონე (ხანგრძლივობა 10,5 თვე)
- თექის დამზადება - III დონე (ხანგრძლივობა 13,5 თვე)

ლაგოდეხის ფილიალი:

- სატყეო საქმე - IV დონე (ხანგრძლივობა 9 თვე)
- სატყეო საქმე - IV დონე - ინტეგრირებული (ხანგრძლივობა 3 წელი)
- მებაღეობა - IV დონე (ხანგრძლივობა 15,5 თვე)
- მეფუტკრეობა - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები - III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- საოფისე საქმე - IV დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)

ალვანის ფილიალი:

- თმისა და სილამაზის მომსახურება - III დონე (ხანგრძლივობა 10,5 თვე)
- მხატვრული ქსოვილები - III დონე (ხანგრძლივობა 13,5 თვე)
- თექის დამზადება - III დონე (ხანგრძლივობა 13,5 თვე)
- მომინანქრება - III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- კერამიკული ნაკეთობის დამზადება - III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)
- საექთნო საქმე - V დონე (ხანგრძლივობა 3 წელი)

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთის ბაზა

- ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება
- ქართული და უცხოური კერძების მომზადება
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება
- ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით
- ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- სერვისი და სერვირება
- მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმის სერვისი
- ხე-ტყის დამზადება
- სხვადასხვა სახის ხილისაგან წვენების წარმოება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლოს ფილიალი

- ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება
- თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობის გაკეთება
- ხელით ელექტრორკალური შედუღება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. შრომის ფილიალი

- ტყის აღდგენა-გაშენება

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის ფილიალი

- თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობის გაკეთება
- მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ფუნქციონირებს 2007 წლიდან. სწავლება ხორციელდება სამი მიმართულებით: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამები, ზრდასრულთა პროფესიული მომზადების პროგრამები და მოკლევადიანი ტრენინგკურსები.

2021 წლის დასაქმების მაჩვენებელი 100%-ია. ჩვენი მისიაა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის/გამოყენების ხელშეწყობა.

კოლეჯი მისიის შესრულებისას ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: მაღალი პროფესიონალიზმი და უწყვეტი პროფესიული განვითარება; აკადემიური და პიროვნული განვითარების თავისუფლება; თანამშრომლობა და გუნდურობა; განათლების ინკლუზიურობა; გამჭვირვალობა და სამართლიანობა.
ხედვა – 2030 წლისთვის კოლეჯი წამყვანი დაწესებულებაა IT-განათლების მიმწოდებელთა შორის, საჯარო და კერძო სექტორის დამსაქმებლებისთვის. 2019 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნომინაციაში კოლეჯმა „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ გაიმარჯვა და წლის საუკეთესო კოლეჯი გახდა. პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსის „წლის პროფესიული განათლების სტუდენტის“კატეგორიაში გამარჯვებული გახდა ვებინტერფეისის დეველოპერის პროგრამის პროფესიული სტუდენტი ნიკოლოზ წიკლაური. კოლეჯის ბაზაზე ფუნქციონირებს CISCO-აკადემია. Cisco Networking Academy Netriders-ის კონკურსში ათეულში მოხვდა ჩვენი აკადემიის ოთხი სტუდენტი. ნოდარ ჭანკოტაძეს კი გადაეცა სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის ვაუჩერი.

კოლეჯის პროფესიული სტუდენტები პერიოდულად მონაწილეობენ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. კოლეჯი თანამშრომლობს ესტონურ ფონდ INNOVE-სთან. კოლეჯში ტარდება შიდა ოლიმპიადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და გამარჯვებული პროფესიული სტუდენტები ჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით. ასევე, პროფესიული სტუდენტების ინიციატივით, იმართება სპორტული შეჯიბრებები.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ბაზარზე პარტნიორ კოლეჯებთან, ხორციელდება ვიზიტები, ონლაინშეხვედრები („ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ 2022 წლის 6 აპრილს სტუმრად იმყოფებოდნენ ესპანეთის ქალაქ სარაგოსას სახელმწიფო კოლეჯის, CPIFP Los Enlaces-ის წარმომადგენლები). აკადემია მუშაობს გაცვლითი პროგრამების შემუშავების პერსპექტივებსა და საერთო პროექტების განხორციელებაზე.

თბილისი, ფანჯიკიძის N3

+995 (32) 2 200 220 (5055)

info@itvet.gem

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ინფორმაციის ტექნოლოგია - მესამე დონე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - მეოთხე დონე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები ინტეგრირებული - მეოთხე დონე
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება - მეხუთე დონე
- ვებტექნოლოგიები - მეოთხე დონე
- ვებტექნოლოგიები, ინტეგრირებული პროგრამა - მეოთხე დონე

ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, აღნიშნულ პროგრამებზე სწავლას დაიწყებენ ქართული ენის მოდულით/მოდულებით. საბაზო დონის პროგრამებისთვის ქართული ენა A2 - 15 კრედიტი, ხოლო საშუალო დონის პროგრამებისთვის დამატებით ქართული ენა B1 - 15 კრედიტი.

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- PHP დეველოპინგი - 120 - 10 კვირა
- ვებგვერდის ინტერფეისის მოდელირება (Mark up) - 120 - 8 კვირა
- JavaScript დეველოპერი - 120 - 8 კვირა
- მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced) - 54 - 9 კვირა
- ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java-ზე - 264 - 22 კვირა
- სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max - 144 - 16 კვირა
- გრაფიკული დიზაინი - 135 - 15 კვირა
- საგამომცემლო საქმის დიზაინერი - 120 - 10 კვირა

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

ქალაქი ამბროლაური, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ქ. ამბროლაურში, 1982 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი, რომელმაც სხვადასხვა პერიოდის რეფორმების შედეგად, რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება, ფუნქცია და მდებარეობა:

1982-1984 წლები – ამბროლაურის N156 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
1984-1990 წლები – ამბროლაურის N156 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
1990-1991 წლები – ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.
1991-2001 წლები – ამბროლაურის N156 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი
2001-2008 წლები – ამბროლაურის პროფესიული სასწავლებელი
2008-2011 წლები – ამბროლაურის პროფესიული სწავლების ცენტრი
2011 წლიდან დღემდე – სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“
2010-2011 წლებში განხორციელებული რეფორმის შედეგად შეცვლილი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, ჩამოყალიბდა პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ - რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის პროფესიული მომზადების სასწავლო დაწესებულება.

აღნიშნული სასწავლებელი განთავსებული იყო, იმ დროისათვის თანამედროვე, მისთვის სპეციალურად აშენებულ შენობა-ნაგებობაში; შესაბამისად, ფლობდა საკმაოდ კარგ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. 1991 წელს მომხდარმა მიწისძვრამ და იმ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა აღნიშნული ბაზა თითქმის მთლიანად გაანადგურა.

1991 წლიდან სასწავლებელმა ფუნქციონირება გააგრძელა ამბროლაურის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ტერიტორიაზე, გურგენიძის ქ. N10-ში (აღნიშნული ტექნიკუმი გაუქმდა 1989 წელს).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წლის ივლისში დაიწყო და 2013 წლის სექტემბერში დასრულდა ახალი თანამედროვე ტიპის სასწავლო კორპუსის მშენებლობა ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქ.N10-ში.

შრომის ბაზრის მოთხოვნისა და დასაქმების სფეროების შესაბამისად, სასწავლებელი ამზადებდა სტუდენტებს სახელობო პროგრამებით; ასევე, UNDP-ისა და USAID-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ახორციელებდა მოკლევადიანი გადამზადების კურსებს სხვადასხვა სფეროსა და პროფესიაში: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი, ხელოვნება და სხვა.

ქ. ამბროლაური,
ვაჟა-ფშაველას ქ. N10

(0439) 22 11 91

koleji.erqvani@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ელექტრობა (საბაზო)
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (საბაზო)
- ბუღალტრული აღრიცხვა (უმაღლესი)
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი (საბაზო)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები (საბაზო)

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლუატაცია და მართვა (პროფესიული მომზადება)
- მარნის მასპინძელი (პროფესიული მომზადება)
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია) (პროფესიული მომზადება)
- თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი (პროფესიული მომზადება)
- კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით (პროფესიული მომზადება)

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

ქალაქი ქობულეთი, ხულო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ქობულეთში 1964 წელს დაარსდა პროფესიული სასწავლებელი სამშენებლო პროფილის სასწავლებლის სახით. 1976 წელს ის გახდა 90-ე ტექნიკური სასწავლებელი, 1985 წელს კი – საშუალო ტექნიკური პროფესიული სასწავლებელი. 2006 წლიდან, განათლების რეფორმების შედეგად, „ახალი ტალღა“ პროფესიული სწავლების ცენტრია, 2012 წლიდან კი მას მიენიჭა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი. 2012 წელს კოლეჯმა პირველად გაიარა ავტორიზაცია ქვეყნის მასშტაბით, ხოლო 2016 და 2022 წელს - რეავტორიზაცია.

ამ წლების განმავლობაში ათასობით სტუდენტმა დაასრულა სწავლა კოლეჯში სხვადასხვა მიმართულებით. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ მრავალპროფილურია. სწავლება ხორციელდება ტურიზმის, სამშენებლო, აგრარული,სამედიცინო და ხელოვნების მიმართულებით. კოლეჯში ამჟამად 34 მოდულური, მათ შორის, 4 დუალური, 3 ინტეგრირებული, 12 პროფესიული მომზადებისა და ერთი პროფესიული გადამზადების პროგრამაა. კოლეჯი ავტორიზებულია 1262-მდე პროფესიულ სტუდენტზე (პროგრამების ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს ვებგვერდზე www.kpc.ge). აქ შექმნილია მაქსიმალურად კომფორტული გარემო სტუდენტებისათვის. კოლეჯს აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის; სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე კლას-ლაბორატორიები, რომლებიც მუდმივად განახლებად რეჟიმშია. „ახალ ტალღას“ მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ, დაბა ხულოში გააჩნია ფილიალი, რომელიც ავტორიზებულია 145 პროფესიულ სტუდენტზე და 6 პროფესიულ პროგრამაზე.

კოლეჯის მისიაა, წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაში, შრომის ბაზრისა და კოლეჯის პროფილის მიხედვით, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გზით. მისი მიზანია, მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური და მოთხოვნადი კადრები; მუდმივი განვითარების გზით შეინარჩუნოს ლიდერობა მრავალფეროვანი პროგრამების სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვის, აგრეთვე, კერძო და საჯარო პარტნიორებთან თანამშრომლობის კუთხით.

კოლეჯის სტრატეგიული სლოგანია: „თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!“

კოლეჯში სწავლა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ადამიანს, რომელსაც აქვს საბაზო ან სრული ზოგადი განათლება. სწავლა უფასოა. საბიუჯეტო გრძელვადიან პროგრამებთან ერთად, კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებსაც, კერძო პირების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვეთით. კოლეჯში ფუნქციონირებს ფაბლაბი და საერთო საცხოვრებელი. „ახალი ტალღა“ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონკურსებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში წამყვან მსხვილ თუ მცირე ბიზნესსექტორთან და, შესაბამისად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაქსიმალურად მაღალია.

ქ. ქობულეთი,
რუსთაველის ქუჩა N154
ხულო, მ. შავაძის N3

591 81 11 70, 591 81 11 76

kobuleticollege@gmail.com

www.kpc.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
- ბაღის დიზაინი
- საექთნო განათლება
- საფინანსო სერვისები
- შედუღება
- მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები
- მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები
- სარესტორნო მომსახურება
- კონდიტერია
- კულინარიის ხელოვნება
- ლოგისტიკა
- ბუღალტრული აღრიცხვა
- მეფუტკრეობა
- ვებტექნოლოგიები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- თმის სტილისტი
- ღონისძიებების ორგანიზება
- ხის მხატვრული დამუშავება
- სასტუმრო მომსახურება
- სატყეო საქმე
- ელექტრობა
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საოფისე საქმე
- სკოლამდელი აღზრდა და განათლება
- ჰაერის კონდიცირება

ხულოს ფილიალი:

- ელექტრობა
- ვეტერინარია
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- მეფუტკრეობა
- სასტუმრო მომსახურება
- სატყეო საქმე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

12 პროფესიული მომზადების პროგრამა :

- ბუღალტრული აღრიცხვა სასტუმრო ინდუსტრიისთვის
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება
- ლითონების შედუღება (MIG) და (MAG) გარემოში
- თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება
- კერძების მომზადების ტექნოლოგია
- სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლთა მომსახურება
- საქმისწარმოება
- ხე-ტყის დამზადება
- სარესტონო სერვისი და სერვირება
- სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტის და სასმელები) პროცედურები, სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი, ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება
- სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი
- ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება

1 პროფესიული გადამზადების პროგრამა:

- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამები:

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- სასტუმრო მომსახურება
- სარესტორნო მომსახურება
- ვებტექნოლოგიები

დუალური საგანმანათლებლო პროგრამები:

- სასტუმრო მომსახურება
- კულინარიის ხელოვნება
- შედუღება

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

ქალაქი ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი— მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ მხარეში, სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ქ. ახალციხეში. იგი დაარსდა 1977 წელს. მრავალწლიანი არსებობის განმავლობაში პროფესიული სასწავლებელი წარმატებით ასრულებს თავის მთავარ მისიას - ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად. მოხდა კოლეჯის სრული რეაბილიტაცია; აღჭურვა უახლესი ინვენტარით, თანამედროვე ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით და კოლეჯმა ფეხი აუწყო მიმდინარე ცვლილებებს. სასწავლო და საწარმოო გარემოს შექმნაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანეს გაეროს განვითარების ფონდმა და სხვა დონორმა ორგანიზაციებმა, რომელთა თანადგომითაც კოლეჯში შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღეისათვის „ოპიზარი“ ახორციელებს ფორმალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს. ავტორიზაციის პროცესების პარალელურად დაიხვეწა სასწავლო პროგრამები და შესაბამისი მატერიალური რესურსები. 2015 წლიდან კოლეჯი აქტიურად ჩაერთო ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებასა და მოდულური პროგრამების პილოტირებაში, 2016 წელს კი კოლეჯმა პირველმა გაიარა პილოტირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში) დუალური მიდგომით.

დღეის მდგომარეობით კოლეჯში ავტორიზებულია 28 მოდულური პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა (მათ შორის, 5 დუალური და 3 ინტეგრირებული).
კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. დაწესებულების ბაზაზე არსებობს სასწავლო ლაბორატორიები და აუდიტორიები თეორიული სწავლებისათვის. კოლეჯი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის; აგებულია სტანდარტული პანდუსი, ლიფტი და ა. შ.. საბიუჯეტო გრძელვადიან პროგრამებთან ერთად, კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებს, კერძო პირების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვეთით.

კოლეჯში ინოვაციური იდეების განხორციელების მიზნით, შეიქმნა და წარმატებით მუშაობს „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია. ,,ფაბლაბ ოპიზარის“ ლაბორატორია აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ეხმარება ყველა პროფესიის სტუდენტს საკუთარი კრეატიული იდეების რეალიზებაში. ინფორმაციული ტექნოლოგიის კაბინეტში დამონტაჟებულია სმარტ დაფა, კოლეჯში ფუნქციონირებს საერთაშორისო ამერიკული ciscos აკადემია და ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია მატერიალური და ელექტრონული წიგნადი ფონდით. „ოპიზარი“ მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის ამაღლებაზე და, სწორედ ამიტომ, აქტიურად მონაწილეობს საქართველოში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან პროგრამაში. 2016 წელს კოლეჯმა ერთ-ერთმა პირველმა გაიარა პროფესიული განათლების სივრცეში ხარისხის მართვის/მენეჯმენტის ევროპული მოდელის EFQM (გზა სრულყოფისაკენ) ვალიდაცია.
კოლეჯი, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა პროექტს; აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივობებში, ხშირად მასპინძლობს პროფესიულ ასოციაციებს და კავშირებს, აწყობს ერთობლივ ღონისძიებებს.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ და უცხოურ პროფესიული განათლების დაწესებულებასთან; მათ შორის აღსანიშნავია ესტონეთის ქ. ტალინის „სამშენებლო სკოლა”.
“ოპიზარის“ საკუთრებაშია ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. #111-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართობი 30,674,00 კვ.მ), მასზე განლაგებული სასწავლო კორპუსითა და ახლად აშენებული სახელოსნოებით. ახალგაზრდული ქსელის „თაობა“ და „ოპიზარის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, კოლეჯში შეიქმნა ბავშვთა დღის ცენტრი, სადაც სტუდენტებს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ლექციების დროს ბავშვების დატოვება შეუძლიათ.

ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. #111

22 17 41

opizari2011@gmail.ge

http://opizarivet.ge/

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- შედუღება (მოდულური)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები (მოდულური)
- ხის მხატვრული დამუშავება (მოდულური)
- საავტომობილო გზების მშენებლობა (დუალური)
- ვეტერინარია (მოდულური)
- სატყეო საქმე (მოდულური)
- ელექტრობა (მოდულური)
- აგრომექანიზაცია (მოდულური)
- სავალი ნაწილის შეკეთება (მოდულური)
- სასტუმრო მომსახურება (დუალური)
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (მოდულური)
- ვებტექნოლოგიები (მოდულური)
- თმის მომსახურება (მოდულური)
- კულინარიის ხელოვნება (მოდულური)
- საბაჟო საქმე (მოდულური)
- სამკერვალო წარმოება (მოდულური)
- საოფისე საქმე (მოდულური)
- საფინანსო სერვისები (მოდულური)
- ფერმერობა (მოდულური)
- აგრომექანიზაცია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების ინტეგრირებით
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი (მოდულური და დუალური მიდგომით)
- წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია
- წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია
- ფერმერობა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით
- სატყეო საქმე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით
- ბუღალტრული აღრიცხვა
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- ფრჩხილის მომსახურება

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ავტომობილის ამძრავი სისტემებისა და დაკიდების მექანიზმის შეკეთება
- კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა
- მეფილე-მომპირკეთებელი
- რეგიონული ტურისტული მეგზური
- რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)
- ხელით ელექტროორკალური შედუღება
- ვებგვერდის დამზადება და მართვა
- თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება
- სასტუმროს დასუფთავების მომსახურება
- სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოვლა და კვება
- ხე-ტყის დამზადება
- ხის დამუშავება და მხატვრული კვეთა
- ქალის ტანსაცმლის კერვა
- ცხოველთა დაავადებები და პირველადი ვეტერინარული დახმარება
- შეხვედრების/ღონისძიებების დაგეგმვის ორგანიზატორი
- ფრჩხილის დამუშავება და დაფარვა გელ-ლაქით.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გზა და მიღწევები იქმნებოდა მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, დაფუძნებიდან 33 წლის განმავლობაში. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, თანამშრომლები და საუნივერსიტეტო საზოგადოება ამაყობს იმ საუკეთესო შედეგებით, რომლებიც სამცხე-ჯავახეთში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის ჩამოყალიბებამ განაპირობა. დღეს სამხრეთ საქართველოში საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების თანამშრომლობით შექმნილია სამეცნიერო კვლევის, უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების ერთიანი სივრცე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი მზარდი და პროგრესზე ორიენტირებული რეგიონული უნივერსიტეტია. მაღალია საზოგადოების მოლოდინი უნივერსიტეტის მიმართ. მას ენდობა მხარის მულტიეთნიკური მოსახლეობა. მისი დანიშნულებაა საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუშაობს, რათა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1990 წელს დაარსდა, 2015 წლიდან ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს ახალციხეში, 2020 წლიდან კი ახალქალაქში, სადაც უკვე გვყავს კურსდამთავრებულები, მათ შორის, ინტეგრირებული პროგრამისაც.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამცხე-ჯავახეთში, მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების კუთხით, რეგიონისთვის საჭირო კადრების მომზადება.
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძირითად ადგილად ქალაქი ახალქალაქი აირჩია. ამით მან გაზარდა იმ ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩართვის შესაძლებლობა, რომლებსაც არ შეუძლიათ ახალციხეში ჩამოსვლა. ახალქალაქში მათ უნივერსიტეტი სთავაზობს რეაბილიტირებულ სასწავლო კორპუსს და საერთო საცხოვრებელს საუკეთესო პირობებით. პროგრამაზე სწავლას შეძლებენ როგორც ქართველი, ისე სომეხი ახალგაზრდები. სწავლების ენა ქართულია, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სომეხ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ სახელმწიფო ენას.

უნივერსიტეტს აქვს სასწავლო გარემო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საწარმოებით, ლაბორატორიებით, რომლებიც ადაპტირებულია ნებისმიერი საჭიროების მქონე (სსსმ/შშმ) პირებისთვის.
უნივერსიტეტის მიზანია მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. #113

591 411 288

contact@sjuni.edu.ge;
rector@sjuni.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ახალქალაქი:

- საბაჭო საქმე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)
- ელექტრობა
- ელექტრობა (ინტეგრირებული)
- სატყეო საქმე
- სატყეო საქმე (ინტეგრირებული)
- მებოსტნე

ახალციხე:

- საექთნო განათლება

ამჟამად უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე:

- საექთნო განათლება (ახალციხე), ბუღალტრული
- აღრიცხვა (ახალციხე, ახალქალაქი)

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

საზღვაო განათლება ბათუმში შვიდ ათეულ წელზე მეტს ითვლის. გასული საუკუნის 20-იან წლებში ბათუმის პორტში გაიხსნა საღამოს საზღვაო კურსები, რომლის ბაზაზე 1929 წელს დაარსდა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი. 1944 წლის 5 მარტს სსრკ-ს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით, საზღვაო ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელმა თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში უდიდესი როლი შეასრულა საზღვაო საქმის განვითარებაში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოეთში. სასწავლებელმა 5 ათასამდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადა საზღვაო ფლოტში სამუშაოდ. მისი კურსდამთავრებულები დღესაც წარმატებით მუშაობენ საოკეანო გემებზე საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დროშის ქვეშ.

ამ დიდი ტრადიციების მქონე ავტორიტეტული საზღვაო სასწავლებლის ბაზაზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულეს პერიოდში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1992 წელს დაარსდა ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი, რომელმაც, ასევე, საქართველოს მთავრობის 1994 წლის გადაწყვეტილებით, მიიღო სტატუსი: სახაზინო საწარმო – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ბსსა).

2004 წლიდან საქართველოში დაიწყო მთელი განათლების სისტემის მასშტაბური რეფორმა. 2005 წლის 25 აპრილს აკადემიის სტატუსი განისაზღვრა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ხოლო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის 184 დადგენილებით, საზღვაო აკადემიის დღევანდელი სტატუსი, სახე და სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია Legal Entity of Public Law Teaching University Batumi State Maritime Academy.

2009 წლიდან, სხვადასხვა ეტაპზე, აკადემია ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს, საგნობრივ პროგრამებს და დღეს უკვე - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კურდამთავრებულთა რაოდენობამ აღნიშნულ პერიოდში გადააჭარბა 1800-ს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სტუდენტებს სთავაზობს საზღვაო ინდუსტრიის ფართო სპექტრის საგანმანათლებლო პროგრამებს. საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა დაიკავონ სამეთაურო და რიგითი თანამდებობები საზღვაო სავაჭრო გემების ეკიპაჟებში, საზღვაო კრუინგულ კომპანიებში და სხვა სახელმწიფო თუ კერძო სამსახურებში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებასთან, კონტროლთან და მართვასთან.

აკადემია ხელს უწყობს საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში განლაგებული სხვადასხვა საზღვაო დაწესებულების განვითარებას. ბათუმის, ფოთის, ყულევის ნავსადგურებთან და სუფსის ტერმინალთან ახლომდებარეობა კარგ პირობებს უქმნის აკადემიის სტუდენტებს, მიიღონ სრულფასოვანი სასწავლო პრაქტიკა ამ პორტების ბაზაზე; ამავე დროს, აკადემია უზრუნველყოფს ზემოხსენებულ ნავსადგურებს კვალიფიციური კადრებით.

ბათუმი, რუსთაველის 53

info@bsma.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული მომზადების ცენტრი:

- გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია (III დონე)
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია (III დონე)
- ამწის ოპერირება (III დონე)
- შედუღება (III დონე)
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება (IV დონე)
- პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (V დონე)

ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი:

- გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია (III დონე)
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია (III დონე)
- ამწის ოპერირება (III დონე)
- ამწის ოპერირება (IV დონე)
- შედუღება (III დონე)
- შედუღება (IV დონე)
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება (IV დონე)
- პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (V დონე)
- თევზსაჭერი გემის ნავიგაცია (V დონე)
- საბაჟო საქმე (V დონე)

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 2011 წლიდან. აღნიშნული პროგრამების ქმედითი, მოქნილი და ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით, 2018 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.

ბსუ-ს სხვა დაწესებულებებისგან გამოარჩევს:

- მზარდი ცნობადობა და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა - ადაპტირებული გარემო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი;
- რეგიონში მოქმედ ძლიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

2021 წლიდან პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. 15-ში მდებარე ახალ, თანამედროვე სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით აღჭურვილ სასწავლო კორპუსში განთავსდა, რომელიც ადაპტირებულია სხვადასხვა საჭიროების მქონე (სსსმ/შშმ) პირებისათვის.

ბსუ-ში პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლა ხორციელდება სახელმწიფოს სრული დაფინანსებით.

უნივერსიტეტს დღეისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 1000-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს.

577 141 011; 591 957 662

info@bsu.edu.ge

www.bsu.edu.ge

vocational@bsu.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება (V დონე)
- აღმზრდელი (V დონე)
- საფინანსო სერვისები (III დონე)
- ბუღალტრული აღრიცხვა (V დონე)
- სატყეო საქმე (IV დონე
- მებაღეობა (IV დონე)
- საბიბლიოთეკო საქმე (IV დონე)

პროფესიული განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ქვეყნის წინსვლა, განვითარება და მომავალი დამოკიდებულია განათლებული, წარმატებული, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ძალისხმევაზე. პროფესიული განათლება უმოკლესი გზაა დასაქმებისკენ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზოგადოებას სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შემუშავებულია დამსაქმებელთა ჩართულობით და პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

გარწმუნებთ, ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული განათლება თქვენი და ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის საფუძველი იქნება!

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნიანი რესურსებით სარგებლობა
- ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ბლექსი“ წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების განმავლობაში არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. კოლეჯმა არაერთგზის შეიცვალა სახელწოდება და სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ სახით 2011 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მზარდია სწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ სასწავლებელს, რომელიც ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს მოდულური, დუალური და ინტეგრირებული სწავლების მიდგომით, ტურიზმის, სამშენებლო, ინჟინერიის, ტექსტილისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კოორდინირებული თანამშრომლობით.

კოლეჯი „ბლექსი“ სწავლის მსურველებს სთავაზობს:

- სწავლებას სახელმწიფო დაფინანსებით;
- პროფესიული ზრდის შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- დუალური მიდგომით სწავლებას;
- მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს;
- დასაქმების შესაძლებლობას;
- Cisco-ს ქსელური აკადემიის სერტიფიკატს;
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისს;
- ინტეგრირებულ პროგრამებს;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებას

დუალური მიდგომით სწავლების, სტუდენტთა/მსმენელთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, სამკერვალო ატელიეები, საჯარო დაწესებულებები და ა.შ.). ასევე, კოლეჯი თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი (MCA), ევროპის განათლებისა და ტრენინგების ფონდი (ETF).

კოლეჯი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სამ ლოკაციაზე:
ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვის ქ. N92-ა;
ქედის მუნიციპალიტეტი, ა. წერეთლის ქ. N4;
შუახევის მუნიციპალიტეტი, ი. ჭავჭავაძის ქ. N8.

ქ. ბათუმი. ლერმონტოვის ქ. N92ა
+(995 422) 24 77 50, 577 385 843
info@blacksea.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამები, რომლებზეც გამოცხადებულია მიღება 2023 წლის სასწავლო კურსზე

კოლეჯს უფლება აქვს მოპოვებული შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ელექტრობა (ბათუმისა და შუახევის მისამართებზე)
- მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები
- საავტომობილო გზების მშენებლობა
- კულინარიის ხელოვნება (დუალური, მოდულური სწავლების მიდგომით)
- კონდიტერია
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- სამკერვალო წარმოება
- სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული, დუალური, მოდულური სწავლების მიდგომით)
- სარესტორნო მომსახურება
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული, მოდულური სწავლების მიდგომით)
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
- მეფუტკრეობა (ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე)
- შედუღება (შუახევის მუნიციპალიტეტის მისამართზე)

2023 წელს კოლეჯი გეგმავს ,,ინფორმაციის ტექნოლოგიისა" (ქედის მისამართი) და ,,შედუღების" (ბათუმის მისამართი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას.

- ელექტრობა (ბათუმისა და შუახევის მისამართებზე);
- საავტომობილო გზების მშენებლობა;
- კულინარიის ხელოვნება (დუალური, მოდულური სწავლების მიდგომით);
- კონდიტერია;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- სამკერვალო წარმოება;
- სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული, დუალური სწავლების მიდგომით);
- სარესტორნო მომსახურება;
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული სწავლების მიდგომით);
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები;
- მეფუტკრეობა (ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე);
- შედუღება (შუახევის მუნიციპალიტეტის მისამართზე).

სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნდა 2012 წელს. კოლეჯს 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიკური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც განაპირობებს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მისი ძირითადი მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა შეძლონ პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას.

დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროგრამებს; აქვს დუალური სწავლების გამოცდილებაც, რაც გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. ამასთან, 2019 წლიდან კოლეჯი ახორციელებს საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის, პროფესიის შესწავლის პარალელურად, სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44

+995(32) 214 03 14, 214 03 15

profgldaniedu@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ბუღალტრული აღრიცხვა
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საოფისე საქმე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- საფინანსო სერვისები
- სამკერვალო წარმოება
- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
- გრაფიკული დიზაინის შესრულება
- ინდუსტრიული დიზაინის შესრულება
- ვებტექნოლოგიები
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- პროფესიული გადამზადების პროგრამა „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“
- პროფესიული გადამზადების პროგრამა „ხიდურა ამწის ოპერირება“
- პროფესიული მომზადების პროგრამა „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“
- პროფესიული მომზადების პროგრამა „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“
- პროფესიული მომზადების პროგრამა „სალარო ოპერაციების განხორციელება“

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

ქალაქი გორი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ 2012 წელს დაფუძნდა, ორი ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის - „ორიენტი“ და „განთიადი“ - რეორგანიზაციის შედეგად.

ჩვენი მისიაა, ხელი შევუწყოთ პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვითა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით.

ჩვენი ღირებულებებია: პროფესიონალური სწავლება; ბაზრის საჭიროებებზე მორგება; დასაქმებაზე ზრუნვა და კერძო სექტორთან თანამშრომლობა; თანამედროვე პრაქტიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში; ინკლუზიურობა და ემპათია; თვითგანვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა.

ჩვენ გვჯერა, რომ ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განათლება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწინდარია და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის.

ქ. გორი, ბესიკის ქუჩა 2

+995 0(370) 227 871

gantiadi@gantiadi.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ელექტრობა
- თმის მომსახურება
- ხის მხატვრული დამუშავება
- სამკერვალო წარმოება
- შედუღება
- იატაკისა და ფილის სამუშაოები
- სამღებრო სამუშაოების შესრულება
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- მეხილეობა
- მებოსტნეობა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- რეგიონული ტურის მეგზური

კოლეჯი ,,განთიადი“ 2023 წელს გეგმავს სხვა მოკლევადინი პროგრამების დამატებას.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლებისა და მეცნიერების მძლავრი კერაა შიდა ქართლში. ის ორი უმაღლესი სასწავლებლის - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა.

გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომელთა სამართალმემკვიდრეც ამჟამად სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტია, მდიდარი და ღრმა ისტორიული წარსული აქვთ. გორში ჯერ კიდევ 1876 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია. 1935 წლის აგვისტოში ქ. გორში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1939 წელს გადაკეთდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად, ოთხწლიანი სწავლებით. ინსტიტუტს მიენიჭა დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის სახელი. 1985 წელს მოხდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ინსტიტუტს ეწოდა გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი, 1997 წლიდან კი - გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი. 1999 წლის 16 ივლისს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი.

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1932 წელს დაარსდა, სადაც მხოლოდ ერთი - აგრობიოლოგიის ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. მომდევნო წლებში მას ახალი ფაკულტეტები დაემატა. ცხინვალის რეგიონში არსებული ქართულ-რუსული კონფლიქტის გამო, 1991 წლიდან ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ქ. გორში განაგრძო ფუნქციონირება. მიუხედავად მწირი მატერიალური ბაზისა, ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვა. 2000 წლის 16 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით, გორის სახელმწიფო და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტები გაერთიანდა და დაარსდა „სსიპ გორის უნივერსიტეტი“; მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N 247 დადგენილებით, „სსიპ გორის უნივერსიტეტს“ ეწოდა „გორის სასწავლო უნივერსიტეტი“; საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის N458 დადგენილებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის სასწავლო უნივერსიტეტი“ რეორგანიზებულ იქნა „არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად - გორის სასწავლო უნივერსიტეტად“. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის N230 დადგენილებით, უნივერსიტეტის სახელწოდება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“. ხოლო მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის N63 დადგენილებით, უნივერსიტეტს მიენიჭა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სასწავლო გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, საწარმო, ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური აპარატურით (კომპიუტერები, ,,ჭკვიანი დაფები“ და სხვა) და ადაპტირებულია ნებისმიერი საჭიროების მქონე (სსსმ/შშმ) პირებისთვის.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქვეყნისა და შიდა ქართლის რეგიონის ინტერესების გათვალისწინებით:

- ახორციელებს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე ორიენტირებულ აკადემიურ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- განათლების ეროვნული და ევროპული სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლებას და სამეცნიერო კვლევებს; საუნივერსიტეტო საზოგადოების პიროვნული პოტენციალის რეალიზებას და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- ახორციელებს საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულ საქმიანობას - უწყვეტ რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომსახურებების შეთავაზებით და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შიდა ქართლის რეგიონისა და მთელი ქვეყნის განვითარებაში.

უნივერსიტეტის მიზანია, მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ცალკე სტრუქტურულ ერთეულადაა ჩამოყალიბებული პროფესიული განათლების ცენტრი, რომელიც ორ ლოკაციაზე ახორციელებს მოდულურ პროფესიულ პროგრამებს.

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53

0(370)272413

contact@gu.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ბუღალტრული აღრიცხვა
- აღმზრდელი
- ღონისძიების ორგანიზება
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- რძის პროდუქტების წარმოება
- საბიბლიოთეკო საქმე
- საექთნო განათლება
- საოფისე საქმე
- საფინანსო სერვისები
- ფარმაცია

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ყველის მომზადება
- გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (ArcGIS)
- ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერულ პროგრამა Oris-ში
- ტექნიკური მხარდამჭერი (Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისების ადმინისტრირება)

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“ თელავის ,,დავით ციციშვილის სახელობის ხალხური რეწვის პროფესიული ლიცეუმის”, თელავის ,,სასოფლო-სამეურნეო პროფესიული სასწავლებლის” და თელავის ,,ტექნიკური კოლეჯის” საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. კოლეჯი 2007 წელს თელავის პროფესიული სწავლების ცენტრად დაფუძნდა, აღნიშნული სასწავლებლების ბაზაზე. 2011 წლიდან პროფესიული კოლეჯი ჩამოყალიბდა სსიპ პროფესიულ კოლეჯად - ,,პრესტიჟი”, ხოლო 2012 წელს, რეორგანიზაციის საფუძველზე, მიენიჭა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის სტატუსი. 2017 წლიდან კოლეჯი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომელიც დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. 2019 წლიდან, ახალი წესდების თანახმად, კოლეჯი მოქმედებს როგორც ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“.

თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კოლეჯი, ძირითადად, ორიენტირებულია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების პროფესიულ განვითარებაზე და ,,მთელი სიცოცხლის განმავლობაში'' განათლების მიღების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.
კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების პირობების შექმნაზე; ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას, განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელ-ინსტრუქტორთა ურთიერთგაცვლას.
გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ საკმაოდ კონკურენტუნარიანია კახეთში და აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, განსაკუთრებით ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის (მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა) მიმართულებით. აღნიშნული უპირატესობა გადამწყვეტია მისი შემდომი განვითარებისთვის.

სასწავლებელი მრავალპროფილურია; წლების განმავლობაში ახორციელებდა რეგიონისთვის მნიშვნელოვან/პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მას წარმატებული პარტნიორული ურთიერთობები აქვს წამყვან ორგანიზაციებსა და საწარმოებთან, რომელთა დასაქმებულების უმეტესი ნაწილი კოლეჯის კურსდამთავრებულია.

პროექტის - „გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ინტეგრირება რეგიონული პროფესიული განათლების დაწესებულებებში“ - ფარგლებში, კოლეჯი თანამშრომლობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა (GIPA) და უნარების სააგენტოსთან. აღნიშნული პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს გენდერული შეფერილობის პროგრამებზე სტერეოტიპების რღვევას და გენდერულ თანასწორობას.
კოლეჯს, ასევე, მრავალწლიანი ურთიერთობა აქვს უცხოელ პარტნიორებთან: გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის თვითმმართველობასთან და პროფესიულ კოლეჯთან ,,KARL ARNOLD SCHULLE; ლიეტუვის რესპუბლიკის ქალაქ იონავას პროფესიულ სკოლასთან; ლიეტუვის ქალაქ კედაინიაის პროფესიული მომზადების ცენტრთან; ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ტალსის თვითმმართველობასთან; ყაზახეთის ქალაქ მანგისტაუს „ტურიზმის კოლეჯთან“; პოლონეთის ქალაქ იასტრებიე-ზდრუი ვოჟიჩა კონფანტეგოს სახელობის ნომერ მეორე სასკოლო კომპლექსთან; პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩის WSG უნივერსიტეტთან; HEKS/EPER-ის (შვეიცარიის რესპუბლიკა) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის პროექტთან ,,MOLI კახეთში“; GIZ - გერმანიის საერთაშორისო საზოგადოებასთან; UNDP - გაეროს განვითარების პროგრამასთან. დაწესებულება ჩართულია Erasmus+ პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, წარმატებით განახორციელა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა (Key Action 1 – Learning Mobility for Individuals, პოლონეთი) და უმასპინძლა არაერთ Job-shadowing პროგრამას (ლიეტუვის რესპუბლიკა, ესტონეთი). ამასთან ერთად, კოლეჯი ჩართულია „CISCO“ საერთაშორისო ქსელური აკადემიის ელექტრონული და დისტანციური სწავლების სისტემაში.

მიზნების მისაღწევად, რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, მთელი სიცოცხლის განავლობაში სწავლების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი ახორციელებს პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ხელს უწყობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვას.

ქ. თელავი,
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1

·+995 577 504 999

telavi.prestige@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საოფისე საქმე
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)
- მევენახეობა-მეღვინეობა (დუალური მიდგომით)
- კულინარიის ხელოვნება
- კონდიტერია
- სასტუმრო მომსახურება
- ელექტრობა
- თმის მომსახურება
- სატყეო საქმე
- მხატვრული ქსოვა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

პროფესიული მომზადების პროგრამები:

- კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა
- ვაზის სხვლა-ფორმირება
- ვენახის გაშენება და აგროტექნოლოგია
- მარნის ჰიგიენა და ღვინის სარეალიზაციოდ მომზადება
- ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა/დეკორატიული გაფორმება
- საოფისე პროგრამებისა და IT ინსტრუმენტების გამოყენება
- ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება
- ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები

პროფესიული გადამზადების პროგრამები

- ხე-ტყის დამზადება და ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები
- სურსათის უვნებლობის მენეჯერი

სსიპ კოლეჯი „იბერია“

ქალაქი ქუთაისი, იმერეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „იბერია“ იმერეთის რეგიონში მოქმედი მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანია, ქართული და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. კოლეჯი ახორციელებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებას კეთებით; ხელს უწყობს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში და, შესაბამისად, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით, დიდი წვლილი შეაქვს რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. კოლეჯი ახორციელებს როგორც საბაზო, საშუალო და უმაღლესი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მრავალფეროვან პროგრამებს, სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორთან ურთიერთთანამშრომლობის გზით.

კოლეჯი „იბერია“ ორიენტირებულია, შრომის ბაზრის, დამსაქმებლისა და მომხმარებლის მოთხოვნებზე დაყრდნობით, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო და სტუდენტური სერვისების მიწოდებაზე. ის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს ყველას, ვისაც სურს პროფესიული წინსვლა და საკუთარი თავის რეალიზება. სსიპ კოლეჯი „იბერია“ დაარსდა 2006 წელს ქუთაისში, „მოდელირებისა და კერვის ტექნოლოგიის ლიცეუმის“ ბაზაზე. მას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და სათანადოდ აღიჭურვა; აქვს ფილიალი ბაღდათში. კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საერთო საცხოვრებელს სრულიად უფასოდ.

კოლეჯში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხორციელდება მიღება გასაუბრების საფუძველზე. ხელოვნების მიმართულების პროგრამებზე ტარდება შემოქმედებითი ტური. კოლეჯი ახორციელებს აგრარული მიმართულების დუალურ პროგრამას „მეხილეობა-მეჩაიეობა“, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. ხორციელდება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები: გრაფიკული საქმე, დურგალი, სერვისი და სერვირება, ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება, ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მასალაში შესრულება, თმის შეჭრა-შეღებვა, მარნის მასპინძელი, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, მეღვინე-დეგუსტატორი.

კოლეჯი, საკვალიფიკაციო პროგრამებთან ერთად, ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამებს (თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ასევე, პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა, სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების და ა.შ.). სწავლების პროცესს უძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები.
კოლეჯი მუდმივად განვითარების რეჟიმშია და სამომავლოდ გეგმავს ახალი, თანამედროვე, პროფესიული პროგრამების დამატებას, საერთაშორისო კავშირების გაზრდას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.

ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N15;
კოლეჯის საერთო საცხოვრებელი

+995 (571) 07 43 17

info@iberia.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ქუთაისი

- ბუღალტრული აღრიცხვა
- ელექტრობა
- ვებტექნოლოგიები
- თმის მომსახურება
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- კულინარიის ხელოვნება
- სამკერვალო წარმოება
- სარესტორნო მომსახურება
- სასტუმრო მომსახურება
- შედუღება
- ხის მხატვრული დამუშავება

ბაღდათის ფილიალი

- ბუღალტრული აღრიცხვა
- ელექტრობა
- თმის მომსახურება
- სამკერვალო წარმოება

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- მეღვინე-დეგუსტატორი
- ხელით ელექტროკალური შედუღება
- გრაფიკული საქმე
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მასალაში შესრულება
- თმის შეჭრა და შეღებვა

ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“

ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალო, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „იკაროსის“ ისტორია 2007 წლიდან იწყება. კოლეჯი ერთ-ერთი პოპულარული და პრესტიჟული სასწავლებელია, რომელიც დაარსებიდან ტურიზმისა და მომსახურების სფეროში ოპერირებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო უახლესი ტექნიკით.

კოლეჯი ახორციელებს 5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ტურიზმისა და მომსახურების მიმართულებით, ესენია: სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ღონისძიების ორგანიზება. აღნიშნული ავტორიზებული პროგრამების საფუძველზე, კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 7 პროგრამა, რომლებსაც პარტნიორ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით ახორციელებს. ავტორიზაციით განსაზღვრული ნორმა სადიპლომო პროგრამებზე შეადგენს 1026 ადგილს.

ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არა მარტო საქართველოს ბრენდულ სასტუმროებსა და რესტორნებში, არამედ გერმანიაში, ამერიკაში, შვედეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 90%-ს.

2017 წელს „იკაროსს“ მიენიჭა წლის საუკეთესო კოლეჯის სტატუსი; წლის საუკეთესო პროფესიული პედაგოგის წოდება კი „იკაროსის“ შეფმზარეულმა, მანუელ ფაუნდეს ბარანდამ მოიპოვა. 2018 წელს „იკაროსის“ სტუდენტი თამარ გოგრიჭიანი გახდა წლის საუკეთესო სტუდენტი; ხოლო 2022 წელს კოლეჯის სადიპლომო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ დასახელდა წლის საუკეთესო პროგრამად.
 2017 წლიდან კოლეჯი მონაწილეობას იღებს სლოვაკეთსა და პოლონეთში გამართულ კონკურსებში: ევროპა 2017, 2018, 2019, 2022, სადაც ნომინაციებში: მზარეული, სარესტორნო საქმე, ბარმენი, კონდიტერი – კოლეჯის სტუდენტებმა სხვადასხვა საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

სასწავლებლის პროგრამები სრულად არის მორგებული შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე. „იკაროსი“ დაარსებიდან აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ორგანიზაციებთან (GIZ, IOM, Syntea, PUM, Georgia for friends, Ingrao Tradizione e Innovazione; Baltic College – FHM Schwerin; Syntea, PUM, Zadkine Hospitality College, Fachhochschule des Mittelstands; ACF; კიევის ტურიზმისა და სასტუმრო საქმის ტექნიკუმი, ისრაელის საელჩო და სხვა).

ქ. თბილისი,
მარშალ გელოვანის გამზ. N4

(+995 32) 2 37 39 81

collegeicarus@icarus.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- სასტუმრო მომსახურება
- სარესტორნო მომსახურება
- კულინარიის ხელოვნება
- კონდიტერია

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება
- კვებისა და სასმელების მომსახურება (F&B)
- პურ-ფუნთუშეულის მომზადება
- სამზარეულოს დასუფთავება (სტუარდინგი)
- სამრეცხაოს მომსახურება
- სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა (ჰაუსქიფინგი)
- ქიმწმენდის მომსახურება

მოკლევადიანი პროგრამები:

- აზიური სამზარეულო
- ფრანგული კონდიტერია
- ფრანგული და იტალიური სამზარეულო
- ცენტრალური ევროპული და სლავური სამზარეულო
- გრილი და ბარბექიუ
- ტორტების ცხობა დეკორი
- საკონდიტრო დეკორი - შოკოლადი, კარამელი და მარცეპანი
- ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძები
- კალკულაცია და მარაგების კონტროლი კვების ობიექტებში
- სასტუმროს მართვის კომპიუტერული პროგრამა OPERA
- ხორცისა და თევზპროდუქტების დამუშავება
- თმის შეჭრა და შეღებვა

სსიპ კასპის კოლეჯი

ქალაქი კასპი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ კასპის კოლეჯი 2020 წლის 25 მარტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების გზით, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფუძნდა.

კოლეჯში პირველი სასწავლო წელი 2021 წლის 15 ნოემბერს დაიწყო. პირველი საგანმანათლებლო პროგრამები ადგილობრივი ბაზრის კვლევითა და მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩა. დღეისთვის კოლეჯი 9 გრძელვადიან საგანმანათლებლო პროგრამასა და 6 მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამას ახორციელებს.

კეთილმოწყობილი აუდიტორიების გარდა, კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებულია: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ინვენტარითა და მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნოები, სასათბურე მეურნეობა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია. შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ-პირების საჭიროებებზე. სტუდენტებისთვის მოწყობილია გასართობი სივრცე.

კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე არასამთავრობო სექტორთან. კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებს შორისაა: ენერგო-პრო ჯორჯია, ჰაიდელბერგცემენტი, მეგა ჰოლდინგი, კნაუფ გიპს თბილისი და სხვა.

სწავლების პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

გარდა კარიერული მხარდაჭერისა, კოლეჯი სტუდენტებს საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებასაც სთავაზობს. კოლეჯში ფუნქციონირებს ტექნოლოგიური კლუბი. სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, ტარდება სპორტულ-გასართობი ღონისძიებები.

ქ. კასპი,
დ. აღმაშენებლის ქუჩა N168 ვ.

0706 55 55 55

info@kc.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები – 14 თვე
- ვიზაჟის მომსახურება - 10 თვე
- სამკერვალო წარმოება - 18 თვე
- ელექტრობა - 8 თვე
- იატაკისა და ფილის სამუშაოები - 14 თვე
- შედუღება - 6 თვე
- მებოსტნეობა - 11 თვე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში
- ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება
- ქალის ტანსაცმლის კერვა
- მაკიაჟის შესრულება
- ხელით ელექტრორკალური შედუღება
- რეგიონული ტურისტული მეგზური

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

ქალაქი ზესტაფონი, იმერეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

2017 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სამშენებლო კომპანია „ბიქეი ქონსთრაქშენის“ თანამშრომლობის საფუძველზე, შეიქმნა კოლეჯი „კონსტრუქტ2“, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნასა და კვალიფიციური კადრების მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრას.

კოლეჯი ორიენტირებულია ქვეყანაში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლასა და საერთო საცხოვრებლით სარგებლობას აფინანსებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. „კონსტრუქტ2“ ახორციელებს როგორც პროფესიული მომზადების პროგრამებს სამშენებლო მიმართულებით, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

მომზადების პროგრამები 4.5-თვიანია და ორი ეტაპისგან შედგება: თეორიული და პრაქტიკული სწავლება კოლეჯის ბაზაზე და ანაზღაურებადი საწარმოო პრაქტიკა „ბიქეი ქონსთრაქშენის“ ობიექტებზე. უკვე გადავამზადეთ 300-მდე სტუდენტი და მათი 60% „ბიქეი ქონსთრაქშენშია“ დასაქმებული.

კონსტრუქტ2 თავისი საქმიანობით ცდილობს გენდერული სტერეოტიპული დამოკიდებულებების მსხვრევას პროფესიებთან დაკავშირებით. წარმატებულ კურსდამთარებულებს შორის არიან ქალი მეარმატურე, ქალი მექრგილე და ქალი კალატოზი, რომლების ისევე ეფექტიანად ასრულებენ სამუშაოებს მშენებლობაზე, როგორც მამაკაცები.

2019 წლიდან კოლეჯი გასცდა სამშენებლო მიმართულებას და დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოები, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, რომლებიც ასევე წარმატებით ხორციელდება. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია ჩვენს პარტნიორ კომპანიებში.

კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობადობის გაზრდაა. სწორედ პროფესიული განათლების მიმართულებით გამართულ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების 19-ე საერთაშორისო კონფერენციაზე „კავშირი ადამიანებს შორის“, „კონსტრუქტ2“ დასახელდა საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითად.

ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. N28

0322 42 44 43

info@construct2.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით)
- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- ელექტრობა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- მონოლითური სამუშაოების შესრულება
- საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება
- ელექტრორკალური შედუღება
- სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება
- სხვადასხვა სახის სახურავების მოწყობა
- შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი
- ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება
- სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების შერულება
- მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის მონტაჟი

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

ქალაქი თბილისი, ნაძალადევის რაიონი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

2012 წელს ქ. თბილისში არსებული 4 პროფესიული სასწავლებლის რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისი“. არსებობის 12 წლის განმავლობაში კოლეჯმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

თავდაპირველად კოლეჯი მხოლოდ 50-მდე სახელმწიფო და კერძო კომპანიასთან თანამშრომლობდა, რომლებთანაც ურთიერთობა მყარდებოდა ძირითადად კოლეჯის ინიციატივით. ბოლო წლებში კი კომპანიებთან ურთიერთანამშრომლობა უმეტესწილად დამსაქმებლების ინიციატივით ყალიბდება. კოლეჯსა და დამსაქმებლებს შორის მტკიცე პარტნიორული ურთიერთობის შედეგად გაიზარდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელიც. 2023 წლის მონაცემებით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 450-ზე მეტ კომპანიასთან, სადაც სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას და წარმატებით საქმდებიან. მიმდინარე წლის მონაცემებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია პროფესიით.

სასწავლებელი 26 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. წლის განმავლობაში კოლეჯში 1600-ზე მეტი სტუდენტი/მსმენელი სწავლობს. ჩარიცხვა ყველა სპეციალობაზე ხდება კონკურსის წესით. სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა 12 კლასის ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

კოლეჯი, ასევე, ახორციელებს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს, რომლებიც საშუალება აძლევს მსმენელებს, მოკლე დროში დაეუფლონ სასურველ პროფესიას.
კოლეჯი „მერმისი“ აქტიურად არის ჩართული სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში“ და მსურველებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიულ პროგრამებს.

კოლეჯი „მერმისი“ მრავალი წელია წარმატებით თანამშრომლობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად არაფორმალური განათლების მოკლევადიან სასერტიფიკატო კურსებს, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად. კოლეჯი თბილისის, ქსნისა და რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საზოგადოებაში რესოციალიზაციის მიზნით.
„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, კოლეჯი „მერმისი“ თბილისის 20-ზე მეტ საჯარო სკოლაში, მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეებისთვის ახორციელებს პროფესიული უნარების სასერტიფიკატო კურსებს.

კოლეჯს გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო სახელოსნოები, კლას-კაბინეტები, იმიტირებული სასწავლო გარემო ყველა პროგრამისათვის. ბოლო პერიოდში სახელოსნო მოეწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.
სსსმ და შშმ პირებისათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად, კოლეჯში შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით. ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ჩართულია სსსმ და შშმ პირების მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2015 წელს ევროპული განვითარების ფონდმა (ETF), კოლეჯ ,,მერმისის“ მაგალითზე, ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესო ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ინიციატივად დაასახელა, როგორც

ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი N9ა

+995 (32) 214 76 63

nona_gudushauri@mermisicollege.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

- თმის მომსახურება - ხანგრძლივობა 10 თვე
- მომინანქრება - ხანგრძლივობა 12 თვე
- ელექტრობა - ხანგრძლივობა 9 თვე
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი - ხანგრძლივობა 11 თვე
- კულინარიის ხელოვნება - ხანგრძლივობა 16 თვე
- კულინარიის ხელოვნება (დუალური) - ხანგრძლივობა 26 თვე
- კონდიტერია - ხანგრძლივობა 16 თვე
- სამკერვალო წარმოება - ხანგრძლივობა 19 თვე
- მხატვრული ქსოვა - ხანგრძლივობა 16 თვე
- ხის მხატვრული დამუშავება - ხანგრძლივობა 16 თვე
- ძრავის შეკეთება - ხანგრძლივობა 11 თვე
- სავალი ნაწილის შეკეთება - ხანგრძლივობა 11 თვე
- იატაკისა და ფილის სამუშოები - ხანგრძლივობა 15 თვე
- თექის დამზადება - ხანგრძლივობა 16 თვე
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება - ხანგრძლივობა 19 თვე
- მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - ხანგრძლივობა 16 თვე

მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

- საოფისე საქმე - ხანგრძლივობა 11 თვე
- ვებტექნოლოგიები - ხანგრძლივობა 12 თვე
- სასტუმრო მომსახურება - ხანგრძლივობა 16 თვე
- სარესტორნო მომსახურება - ხანგრძლივობა 17 თვე

- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება - 17 კვირა
- ელექტრული მონტაჟი - 10 კვირა
- თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება - 10 კვირა
- კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით - 12 კვირა
- კონდიტერიის ხელოვნება - 22 კვირა
- ოფისის ადმინისტრირება - 13 კვირა
- ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება - 12 კვირა
- ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება - 13 კვირა
- ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა - 13 კვირა
- ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი - 8 კვირა

შედეგობრივი, თანამშრომლობითი, ქმედითი და ევროპულ გამოცდილებაზე დამყარებული პრაქტიკა. ქალაქ ბრიუსელში საპატიო პრიზი გადაეცა დაწესებულების დირექტორს. ასევე, ქ. ბრიუსელში ჟურნალში „LOCAL SKILLS MATER" დაიბეჭდა პუბლიკაცია საქართველოს განათლების სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილების შესახებ.

2017 წელს კოლეჯმა მაღალი შეფასება მიიღო ესტონელი ექსპერტების მხრიდან. მათ „მერმისი" სანიმუშო კოლეჯად დაასახელეს და მისი ძლიერი მენეჯმენტი აღიარეს.
2018 წელს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი" პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის გამარჯვებული – წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი" „2018 წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით" დაჯილდოვდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ.
2019 წელს კოლეჯის სტუდენტი ხატია ნადარეიშვილი დასახელდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის გამარჯვებულად – წლის პროფესიულ სტუდენტად.
2020 წელს სსიპ კოლეჯს „მერმისი" გადაეცა საუკეთესო პარტნიორის დიპლომი შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალში „ივერია - ბრილიანტი" მონაწილეობისათვის, რომელიც ხორციელდება საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთვის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.
2021 წელს კოლეჯის პედაგოგი ივანე ჩუტკერაშვილი დასახელდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2021-ის გამარჯვებულად – წლის პროფესიული განათლების მასწავლებლად.
2018 წელს, თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯმა ურთიერთობა დაამყარა გერმანიის სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტთან, ესტონეთის ქ. ტალინის სამშენებლო სკოლასთან და ლატვიის ქ. შაულაის საბითუმო და საცალო ვაჭრობის პრაქტიკულ სასწავლო ცენტრთან.

2023 წელს კოლეჯმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა ყაზახეთის რესპუბლიკის ხუთ წამყვან კოლეჯთან:
1. 1ტრანსპორტისა და კომუნიკაციების უმაღლესი კოლეჯი
2. სერვისისა და ტურიზმის კოლეჯი
3. თანამედროვე ჰუმანიტარულ-ტექნიკური კოლეჯი
4. მერკენსკის კოლეჯი
5. აკმოლინსკის რაიონის ქ. კოკშეტაუს უმაღლესი ტექნიკური კოლეჯი.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს SES ორგანიზაციასთან. სხვადასხვა დროს კოლეჯში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ SES-ის ექსპერტები შემდეგი პროგრამების ფარგლებში: კონდიტერია, კულინარიის ხელოვნება, სამშენებლო მიმართულება, სამკერვალო წარმოება, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება, სარესტორნო საქმე, თმის მომსახურება.

სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის" ფარგლებში, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის - ააიპ „საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა" ასოციაციასთან თანამშრომლობით განხორციელებული პროექტის „მომავალ მეწარმეთა კლუბის შექმნა" ფარგლებში, კოლეჯის ტერიტორიაზე მოეწყო სკვერი, რომელიც დასასვენებელ და კულტურულ-შემოქმედებით რეკრეაციულ სივრცედ იქცა როგორც სტუდენტებისა და კოლეჯის თანამშრომლებისათვის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობისა და სკოლების მოსწავლეებისათვის.

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- გრაფიკული დიზაინის შესრულება - ხანგრძლივობა 18 თვე

მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებია ინტეგრირებული:

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

- ვებტექნოლოგიები - ხანგრძლივობა 27 თვე
- სასტუმრო მომსახურება - ხანგრძლივობა 29 თვე
- სარესტორნო მომსახურება - 29 თვე
- გრაფიკული დიზაინის შესრულება - 29 თვე

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

- ბულალტრული აღრიცხვა - ხანგრძლივობა 17 თვე

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“

დაბა მესტია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „თეთნულდი“ შეიქმნა 2011 წელს. ის არის ავტორიზებული პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს III, IV, V დონის გრძელვადიან და მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

ადგილობრივი ბაზრის საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე, კოლეჯი აწარმოებს მიღებას სხვადასხვა პროფესიულ პროგრამაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან, როგორებიცაა UNDP, GIZ, ათასწლეულის განვითარების ფონდი; აქვს USAID-ისა და ევროკავშირის პროექტებთან თანამშრომლობის გამოცდილება, მაგალითად, ENPARD III მესტიის პროექტი. კოლეჯი, ასევე, არის ზემო სვანეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) წევრი.

2016-2017 წლებში კოლეჯში განხორციელდა პროექტი – საქართველოს ფორმალური/არაფორმალური პროფესიული განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის კავშირების გაღრმავება უწყვეტი განათლების კონტექსტში, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირის (EU) მიერ და განახორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის საშუალებით (UNDP).

2016-2017 წლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს პროგრამის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში, განხორციელდა პროექტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე, საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება“. კოლეჯში დაარსდა ცისკოს საერთაშორისო აკადემია და კოლეჯი აღიჭურვა სპეციალიზებული ლაბორატორიული და ვიდეო-საკონფერენციო აპარატურით. მომზადდა სერტიფიცირებული ინსტრუქტორი ცისკოს პროგრამების ბაზაზე.

2019 წელს კოლეჯს მიენიჭა IT განათლების საუკეთესო პროვაიდერის წოდება.

მესტია, ე.ფარჯიანის ქ. N25

577 58 24 24

ijafaridze68@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ინფორმაციის ტექნოლოგია - სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 14 თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - არაინტეგრირებულ (მოდულური) - სწავლის ხანგრძლივობა 16 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 22თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - ინტეგრირებული - სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)
- სატყეო საქმე - მოდულური - სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 15თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
- სამკერვალო წარმოება - სწავლის ხანგრძლივობა 17 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 20 თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)
- კულინარიის ხელოვნება - სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 18 თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)
- კონდიტერი - სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 18 თვე) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)
- ელექტრობა - სწავლის ხანგრძლივობა 8 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 11 თვე) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება
- სატუმრო მომსახურება - სწავლის ხანგრძლივობა 13 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 20 თვე); პროგრამაზე დაშვების პირობა - საშუალო განათლება
- საოფისე საქმე - სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 16 თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
- ბუღალტრული აღრიცხვა - სწავლის ხანგრძლივობა 16 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 22 თვე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

2023 წლის მისაღები პროგრამების ჩამონათვალს დაემატა :

- კულინარიის ხელოვნება დუალური მიდგომით - სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)
- სატყეო საქმე ინტეგრირებული - სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული)

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა - სწავლის ხანგრძლივობა 8 კვირა
- სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა და გაუმართაობის აღმოფხვრა --სწავლის ხანგრძლივობა 10 კვირა
- სადღესასწაულო საკონდიტრო ნაწარმის მომზადება - სწავლის ხანგრძლივობა 6 კვირა
- სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კერვა - სწავლის ხანგრძლივობა 8 კვირა
- ქართული სამზარეულის კერძების მომზადება - სწავლის ხანგრძლივობა 8 კვირა
- ხე-ტყის დამზადება და ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები -სწავლის ხანგრძლივობა 7 კვირა

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

რუსთავი-მარნეული, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯია, რომელიც პროფესიულ სადიპლომო და სახელმწიფო სასერტიფიკატო კურსებს რუსთავსა და მარნეულში ახორციელებს.

„მოდუსის“ ისტორია 1958 წლიდან იწყება. ამ პერიოდიდან ფუნქციონირებდა სახელობო სასწავლებელი ქალაქ რუსთავში. 1975 წელს სასწავლებელს, იურიდიულ მისამართთან ერთად, შეეცვალა სტატუსი და მოიაზრებოდა როგორც მეტალურგიული ქარხნის საბაზო სასწავლებელი. 1987 წელს, მეტალურგიის სფეროდან გამოყოფის შემდეგ, მას ქ.რუსთავის მე-3 პროფესიული სასწავლებელი ეწოდა.

2021 წლიდან კოლეჯმა ფუნქციონირება დაიწყო მარნეულშიც, სადაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახორციელებს პროგრამებს.

2016 წლიდან კოლეჯს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებითა და ახალი პროგრამებით.

2023 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ახალი შენობა, რომელშიც განთავსდება ფაბლაბის ახალი სივრცე და 300 კაცზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი, ასევე, სასწავლო აუდიტორიები და კაფეტერია.

„მოდუსი“ პირველი კოლეჯია, რომელიც ბიზნეს-ვოთსაფის დახმარებით, სწავლით დაინტერესებულ პირებს კარიერულ და პროფორინტაციულ სერვისს სთავაზობს. ვოთსაფი მიბმულია ფეისბუქგვერდზე და სამუშაო საათებში ნებისმიერ მსურველს შეუძლია ონლიან კონსულტაციის გავლა.

კოლეჯმა პოზიციონირება დაიწყო tiktok-პლატფორმაზეც, სადაც 3 თვეში ძალიან კარგი შედეგები მიიღო. 2020-2021 წლებში კოლეჯ „მოდუსის“ სტუდენტებმა ლატვიის ქალაქ დაუგავპილსის ტექნიკური კოლეჯის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ონლაინ სპორტულ შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა. 2020 წელს 3-დღიანი ონლაინ სპორტული შეჯიბრი საქართველოს, ლატვიისა და მოლდოვას კოლეჯებს შორის გაიმართა, ხოლო 2021 წელს ღონისძიებაში უკვე 7 ქვეყნის (ლატვია, ლიეტუვა, საქართველო, პოლონეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ესპანეთი) 8 კოლეჯი იღებდა მონაწილეობას.

კოლეჯი წარმატებით თანამშრომლობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან, სადაც ახორციელებს მომზადება-გადამზადების ექვს პროგრამას.

კოლეჯის კულინარიის პროგრამის სტუდენტები, ასოციაცია EUCM იტალიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მონაწილეობენ სტაჟირების საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში და გადიან სტაჟირებას იტალიის სხვადასხვა ქალაქში.

ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას ქ. N4
ქ. მარნეული, იაღლუჯის ქუჩა
(სოკარის ოფისის წინ)

0341252041 ; +995 577408734

Info@modusi.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ელექტრობა
- ელექტრობა (მარნეული)
- შედუღება
- აღმზრდელი
- აღმზრდელი (მარნეული)
- სამკერვალო წარმოება
- სამკერვალო წარმოება (მარნეული)
- თმის მომსახურება
- კულინარია
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილების შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა
- ბუღალტერია
- ბუღალტერია (მარნეული)
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები (ინტეგრირებული)
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- ინფორმაციის ტექნოლოგია (მარნეული)
- ვებტექნოლოგიები
- მებაღეობა
- მებოსტნეობა (მარნეული)
- მეხილეობა (მარნეული, ინტეგრირებული)

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ტურისტული მეგზური
- ქართულენოვანი ტურისტული მეგზური (მარნეული)
- ქართული და უცხოური კერძების მომზადება
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება და კერვა
- მამაკაცის ზედა პერანგისა და შარვლის კონსტრუირება და კერვა
- ხელით ელექტრორკალური შედუღება
- დეკორატიული მცენარეების სხვლა-ფორმირება
- ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გამრავლება დახურულ გრუნტში
- დეკორატიულ მცენარეთა სხვლა-ფორმირება
- ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადი კურსი
- ელექტრობა
- საალმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

სამეგრელოს რეგიონში, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის №145 დადგენილებით, დაფუძნდა სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც, ასევე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ივლისის №185 დადგენილებით, რეორგანიზებულ იქნა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტად.

უნივერსიტეტი, დაფუძნებიდან დღემდე, ახორციელებს როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ განათლებას და განათლების ორივე საფეხური სტრატეგიულად თანაბრად მნიშვნელოვანია. პროფესიული განათლების მიმართულებით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების დეპარტამენტი, რომლის დაქვემდებარებაშია პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი (განხორციელების ადგილი: ზუგდიდი, ჯანაშიას N 14) და პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი (განხორციელების ადგილი: სენაკი, მშვიდობის ქ. N192).

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობას წარმართავენ: მართვის ორგანოები, აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული, დამხმარე და სხვა პერსონალი. აქ შექმნილია თანაბარი სასწავლო გარემო პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად. სასწავლო უნივერსიტეტში 2 სამაგისტრო, 2 ინტეგრირებული სამაგისტრო, 9 საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, 29 პროფესიული საგანმანათლებლო და 9 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა ხორციელდება. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია დუალური მიდგომით პროგრამების სწავლების/მუშაობის გამოცდილება 2016 წლიდან; ამასთან ერთად, 2016-2019 წლებში უნივერსიტეტმა პირველად განახორციელა საპილოტე პროგრამა, რომელშიც ჩაშენებული იყო სრული ზოგადი განათლების კომპონენტები. 2020 წლიდან კი მოიპოვა 6 (სულ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება ინტეგრირებული მიდგომით, ზუგდიდსა და სენაკში.

სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სააგენტოებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, დარგობრივ ასოციაციებთან, კერძო და სამოქალაქო სექტორთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტი, საკუთარი მისიიდან გამომდინარე, ორიენტირებულია სტუდენტის/მსმენელის პიროვნულ განვითარებაზე, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრის, საზოგადოების აქტიური წევრის, მომზადება/გადამზადება/მოზიდვა/რეკრუტირებაზე.

ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N14
სენაკი, მშვიდობის N192

557 44 09 22

info@zssu.edu.ge

www.zssu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ზუგდიდის ბაზაზე:

- ,,საექთნო საქმე“ - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ფარმაცია'' - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,სკოლამდელი აღზრდა'' - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ,,კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება'' - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში'' - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,საოფისე საქმე'' - მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,საფინანსო სერვისები'' - მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' - (ინტეგრირებული) მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ინფორმაციის ტექნოლოგია''- მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ბიბლიოთეკარი'' - (ინტეგრირებული) მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,პირის ღრუს ჰიგიენისტი'' - (ინტეგრირებული) მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,დეკორატიული მებაღეობა '' - მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ელექტრობა''-- მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,შედუღება''- მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- მცენარეთა დაცვა ბოსტანსა და ბაღჩაში (პროფესიული გადამზადება) - III დონე
- დეკორატიული მცენარეების დაცვა (პროფესიული გადამზადება) - III დონე
- კორპუსული ავეჯის დურგალი (პროფესიული მომზადება) - III დონე
- ლითონების აიროვანი შედუღება (პროფესიული მომზადება) - III დონე
- ელექტრომემონტაჟე (პროფესიული მომზადება) - III დონე
- შინმოვლის სპეციალისტი (პროფესიული გადამზადება) - III დონე
- შინმოვლის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება) - III დონე
- რეგიონული ტურის მეგზური (ქართულონოვანი) (პროფესიული მომზადება) - IV დონე
- პრაქტიკული ბუღალტერია (პროფესიული მომზადება) - IV დონე

სასწავლო უნივერსიტეტს, პროფესიული განათლების ფარგლებში, მემორანდუმი აქვს გაფორმებული ლიეტუვას რესპუბლიკის ქალაქ კაუნასის ტექნოლოგიების ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება გაცვლითი პროექტები/აქტივობები. უნივერსიტეტის პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაცია და, შესაბამისად, აგრძელებს საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვას პროფესიული განათლების სფეროში გაცვლითი აქტივობების განსახორციელებლად.

უნივერსიტეტს აქვს და მუდმივად აახლებს უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას; ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სსსმ/ შშმ პირებისათვის ადაპტირებულ სასწავლო კორპუსებს; ფუნქციონირებს ლიფტი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სასწავლო სახელოსნო, სასათბურე მეურნეობები, მეცხოველეობის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ფერმა, კომპიუტერული და სხვა სახის სასწავლო ლაბორატორიები; დაცულია სტუდენტთა და პერსონალის (მათ შორის, საინფორმაციო) უსაფრთხოება, ჰიგიენის ნორმები და უფლებები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების (მათ შორის, სსსმ/შშმ პირების) მხარდამჭერი სხვადასხვა სახის სერვისი. ეს არის უწყვეტი განათლების ცენტრის ქვეშ მოქცეული სხვადასხვა ცენტრი (ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი, კარიერის მართვის ცენტრი, უცხო ენების ცენტრი, ექსტენციის ცენტრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების Cisco-ს აკადემია, იურიდიული კლინიკა, ფსიქოლოგიის ცენტრი, გასტრონომიის აკადემია, ბიზნეს-ინკუბატორი და ა.შ.). აღნიშნული ცენტრები მსურველებს სთავაზობენ სხვადასხვა ტრენინგ-კურსს, ვორკშოპს, მასტერკლასს, საჯარო ლექციას, გამოფენას, კონფერენციას და სხვა არაფორმალურ აქტივობებს. 2018 წლიდან შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა გაერთიანება-კავშირი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ზუგდიდისა და სენაკის ბაზის პროფესიული სტუდენტები.

ისინი გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს როგორც სტუდენტური დღეების, ასევე წლის ნებისმიერ პერიოდში. კავშირი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და მათი ურთიერთთანამშრომლობა გამოხატულია ერთობლივად განხორციელებულ სხვადასხვა (კულტურული, შემეცნებითი, სპორტული და ა.შ) ღონისძიებაში.

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

სენაკის ბაზაზე:

- ,,საექთნო საქმე“ - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ფარმაცია'' - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,სკოლამდელი აღზრდა'' - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,საოფისე საქმე'' - მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,საფინანსო სერვისები'' - მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' - (ინტეგრირებული) მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ - მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,დეკორატიული მებაღეობა“ - მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ელექტრობა'' - მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ვეტერინარია“ - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,ფერმერობა“ - მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,მეფუტკრეობა“ - (დუალური, მოდულური) მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ,,მებოსტნეობა“ - მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

კოლეჯი „ჰორიზონტი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი ,,ჰორიზონტი“ გურიის რეგიონში მდებარე ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში, ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივებისთვის იგი განათლების ძირითადი კერაა, საიდანაც ისინი სწავლას, ახალი უნარების შეძენასა და კარიერას იწყებენ.
კოლეჯის სამივე კორპუსი სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური სასწავლო ბაზით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწავლის პროცესშივე აითვისონ თანამედროვე ტექნოლოგიები. ,,ჰორიზონტში“ ფუნქციონირებს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სახელოსნოები, CISCO-ს აკადემიის ლაბორატორია და პროფესიული ტერმინოლოგიების ინგლისურ-ქართული ლექსიკონების ბიბლიოთეკა. ჩოხატაურში , გორაბერეჟოულის ლოკაციაზე ფუნქციონირებს ღვინის ხარისხის განმსაზღვრელი ლაბორატორია და ინოვაციური დისტანციური მართვის სარწყავი სისტემა. საინტერესო და ინოვაციურია მისი დისტანციური მართვის მექანიზმი, რომლის კომპიუტერსა თუ სმარტფონში ჩატვირთვის შემთხვევაშიც, ნებისმიერი ადგილიდან შეგვეძლება ვმართოთ სარწყავი სისტემა და დავაკვირდეთ რწყვის პროცესებს სადემონსტრაციო ნაკვეთებზე.

სასწავლო პროგრამების დანერგვა კოლეჯში კერძო სექტორის მოთხოვნებისა და მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით ხდება. ჩოხატაურის ლოკაციაზე, ძირითადად მიმდინარეობს პროგრამები სოფლის მეურნეობის მიმართულებით. რაც შეეხება ლანჩხუთის ლოკაციას, მისი მშენებლობა 2022 წელს დასრულდა და პირველ ნაკადს კოლეჯი 2023 წლის საშემოდგომო მიღებისთვის 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებს.
კოლეჯი ,,ჰორიზონტი“ ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად გრძელვადიან სადიპლომო პროფესიულ პროგრამებს.

ყველა პროფესიული პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან, რაც სტუდენტებს აძლევს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას. ეს ყველაფერი სტუდენტებს ეხმარება შეძენილი უნარების განვითარებაში და კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ, შრომის ბაზარზე მოთხოვნად კადრად ჩამოყალიბებაში. გრძელვადიან პროგრამებთან ერთად ,,ჰორიზონტი“ წარმატებით ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს, რითაც ზრუნავს ზრდასრულთა უნარების განახლებასა და მათი კომპეტენციების განვითარებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ,,ჰორიზონტი“ ავტორიზებულია 18 მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროფესიულ პროგრამაზე. მოკლევადიანი პროგრამების ასეთი მრავალფეროვანი არჩევანი ნამდვილად გამოარჩევს კოლეჯ ,,ჰორიზონტს“ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებისგან.

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები, ხარისხიანი სწავლება, აქტიური თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და კარგი ანაზღაურება ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც კოლეჯ ,,ჰორიზონტში“ სწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კოლეჯი მუდმივად მზად არის სიახლეებისთვის, რათა კურსდამთავრებულები სრულად აკმაყოფილებდნენ შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, ზრუნავს თვითგანვითარებაზე და ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვე სტანდარტებს.

ქ. ოზურგეთი, რუსთაველის N8
577 16 22 88
info@horizonti.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი", რუსთაველის N8:

• თმის მომსახურება	III
• კულინარიის ხელოვნება	III
• ელექტროობა	III
• ელექტროობა (ინტეგრირებული)	IV
• სამკერვალო წარმოება	III
• სარესტორნო მომსახურება(ინტეგრირებული)	IV
• კომპიუტერული ქსელი და სისტემები(ინტ)	IV
• ინფორმაციის ტექნოლოგია	III
• სკოლამდელი აღზრდა	V
• ბუღალტრული აღრიცხვა	V
• საფინანსო სერვისები	III
• სასტუმრო მომსახურება	IV
• ვიზაჟის მომსახურება	III

გორაბერეჟოულის სასწავლო ფართი:

• მებაღეობა	IV
• მეხილეობა	IV
• ბუღალტრული აღრიცხვა	V
• სკოლამდელი აღზრდა	V

ლანჩხუთის სასწავლო ფართი:

• თმის მომსახურება	III
• ელექტროობა	III
• სასტუმრო მომსახურება(ინტეგრირებული)	IV
• სამკერვალო წარმოება	III
• ვებტექნოლოგიები(ინტეგრირებული)	IV
• სკოლამდელი აღზრდა	V
• ბუღალტრული აღრიცხვა	V

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი", რუსთაველის N8:

- ადმინისტრაციული პროცესები,
- დასუფთავება და უსაფრთოება სასტუმროში
- ბარის ორგანიზება
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
- თმის ღებვა და ქიმიური დამუშავება
- თმის შეჭრა და ვარცხნილობები
- კერძების მომზადება
- სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდით
- მაკიაჟის შესრულება და დერმოპიგმენტაცია
- პრაქტიკული ბუღალტერია -
- საბუღალტრო პროგრამა „ORIS”-ი
- სასტუმროს დაჯავშნისა და
- მიღება-განთავსების მომსახურება
- სერვისი და სერვირება
- საალმზრდელო პროცესის წარმართვა და
- მეთოდოლოგია სკოლამდელი აღზრდის
- დაწესებულებებში
- საერთშორისო სამზარეულოს კერძების
- და მინი ნაწარმის მომზადება
- უსაფრთხოება და სპეციალური
- საგანმანათლებლო საჭიროებების
- მქონე ბავშვებთან მუშაობა
- სკოლამდელ დაწესებულებაში
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მასალაში შესრულება
- საყოფაცხოვრებო ნაწარმის კერვა
- და დეკორატიული გაფორმება

ჩოხატაური, გორაბერეჟოული:

- ვენახის გაშენება-მოვლა
- ხეხილოვანი კულტურების დაცვა
- ღვინის დამზადება საოჯახო მარანში

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

სოფელი გუდაური, დუშეთის რაიონი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

2016 წლის 8 აგვისტოს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შპს „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ და ა(ა)იპ „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ“ დააფუძნეს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“. 2016 წლის 23 სექტემბერს კოლეჯს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა გახდა გრანტის ბენეფიციარი.

ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“ მისიაა საქართველოს ტურისტულ რეგიონებში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხიანი განათლების მიწოდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით და პროფესიული სტუდენტების ინტერესების პრიორიტეტულობის აღიარებით; ისეთი კადრების მომზადება, რომლებსაც ეყვარებათ, გაუფრთხილდებიან და დაიცავენ ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს; საერთაშორისო სტანდარტებით უზრუნველყოფენ სტუმრების უსაფრთხოებას, კომფორტსა და კმაყოფილებას; განვითარდებიან, როგორც პროფესიონალები, დამსაქმებლები და მეწარმეები, გააუმჯობესებენ ოჯახების, თემისა და ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. სკოლის ხედვაა, 2030 წლისთვის წარმოადგენდეს საქართველოში ლიდერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მოამარაგებს მაღალკვალიფიციური კადრებით, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამთო გამყოლების საერთაშორისო აღიარებას და სკოლის, ასოციაციის გაწევრიანებას საერთაშორისო ფედერაციაში (IFMGA/UIAGM/IVBV). ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ჩვენი სკოლის ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, უწყვეტი განვითარება, პასუხისმგებლობა, ეფექტიანი მართვა, ინოვაციების დანერგვა, ტოლერანტობა, უსაფრთხოების უზენაესობა, ეთიკისა და ქცევის კოდექსის დაცვა, ბუნებრივი და სოციალური გარემოს პატივისცემა და დაცვა, გუნდური მუშაობა, საჯაროობა.

ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ“ შექმნა წარმომადგენლობითი პარტნიორთა კონსორციუმი, რომელშიც შევიდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი კოლეჯი „თეთნულდი“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, საქართველოს მიმღები ტუროპერატორების ასოციაცია, შვეიცარიის სამთო გამყოლთა ასოციაცია, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

სკოლამ გამოუშვა 200-მდე საფეხმავლო/ალპური/სათხილამურო/სამთო გამყოლი, სათხილამურო ინსტრუქტორი.

სოფ. გუდაური, დუშეთის რაიონი

(+995) 599 21 33 37

http://ats.ge

https://www.facebook.com/AdventureTourismSchool

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საფეხმავლო ტურის გამყოლი
- ინდუსტრიული ალპინიზმი - 1 საფ.
- ინდუსტრიული ალპინიზმი - 2 საფ.
- ინდუსტრიული ალპინიზმი - 3 საფ.
- თხილამურებით სრიალის ინსტრუქტორი - 1 საფ.
- თხილამურებით სრიალის ინსტრუქტორი - 2 საფ.
- თხილამურებით სრიალის ინსტრუქტორი - 3 საფ.
- კანიონინგის გამყოლი
- ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი
- საცხენოსნო ტურის გამყოლი
- ჯომარდობის გამყოლი
- ველოტურის გამყოლი
- ალპური მაშველი

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა სკოლის პროდუქტებზე. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სამთო პროფესიების კოლეჯებს შორის მსოფლიოში აღიარებულ ლიდერთან – საფრანგეთის თხილამურებისა და ალპინიზმის ნაციონალურ სკოლასთან.

2016-2018 წლებში ა(ა)იპ „სათავგადასვლო ტურიზმის სკოლა“ ჯამში დაასრულა სადიპლომო პროგრამების 28 სტუდენტმა და სასერტიფიკატო პროგრამების 154-მა მონაწილემ.

პროფესიული განათლების მასწავლებლებად მოწვეულნი არიან საერთაშორისო სერტიფიკატების მქონე ექსპერტები.

2020 წელს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ“ მოიპოვა ავსტრიის განვითარების სააგენტოს გრანტი, რის შედეგადაც გადაამზადა 22 საფეხმავლო გამყოლი.

2021 წელს სკოლამ გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში TVET 2021.

2021 წელს სკოლამ მოიპოვა ორი მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება - საფეხმავლო გამყოლისა და სათხილამურო გამყოლის. 2021 წელს სკოლამ საფეხმავლო გამყოლის პროგრამაზე მიიღო 31 მსმენელი, ხოლო სათხილამურო გამყოლის მოკლევადიან პროგრამაზე – 29 მსმენელი.

- 2021 წელს, საფეხმავლო გამყოლის პროფესიული გადაამზადების პროგრამა წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი გადაეცა 22 კურსდამთავრებულს.
-
- 2022 წელს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ წარმატებით დაასრულა და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი გადაეცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამთო გამყოლის 8 კურსდამთავრებულს.
- 2022 წელს სათხილამურო გამყოლის პროფესიული გადამზადების პროგრამა წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი გადაეცა 16 კურსდამთავრებულს.
- 2022 წელს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ“ სამთო გამყოლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღო 30 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

2022 წელს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ“ მოიპოვა სამი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება:

- საცხენოსნო ტურის გამყოლი
- ველოტურის გამყოლი
- ჯომარდობის გიდი

იმავდროულად, ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მიღება. კერძოდ: სათხილამურო გამყოლის პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღებულია 26 პროფესიული მსმენელი.

- 2022 წელს, ველოტურის გამყოლის პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღებულია 15 მსმენელი.
- საცხენოსნო ტურის გამყოლის პროფესიული გადამზადების პროგრამაზე კოლეჯმა მიიღო 12 პროფესიული მსმენელი.
- 2022 წელს ჯომარდობის გიდის პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სკოლამ მიიღო 12 მსმენელი.
- 2022 წელს საფეხმავლო გამყოლის პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 32 მსმენელი.

2022 წელს, ა(ა)იპ “საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ” და ა(ა)იპ “სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ” მონაწილეობა მიიღეს და გაიმარჯვეს USIAD-ის პროგრამის “დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის” მიერ გამოცხადებული საგრანტო პროექტის კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობას. პროექტის თანახმად, სათავგადასავლო პროგრამების ავტორიზება და პროგრამების მიწოდება უნდა განხორციელდეს დასავლეთ საქართველოში. პროგრამის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს მომავალ გამყოლთა მომზადება-გადამზადება დასავლეთ საქართველოში, ა(ა)იპ “სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის” რეგიონული საწვრთნელი ბაზების ქსელის შექმნა.

სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი დაფუძნდა 2009 წელს, 1963 წელს დაარსებული გორის სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე. გორის სამუსიკო კოლეჯი ერთადერთი მონოპროფილური სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ახორციელებს სამუსიკო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯის მისიაა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

კოლეჯს აქვს ორსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა სასწავლო ინვენტარითა და საჭირო მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი აუდიტორიებით, დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზებით; აქვს, ასევე, ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, ინტერნეტით, მუსიკალური პორტალების მეშვეობით მოიძიოს მისთვის სასურველი კომპოზიტორების პარტიტურები და სანოტო კრებულები. ფონოტეკის კაბინეტი აღჭურვილია აუდიო ტექნიკით, ციფრულ მატარებლებზე გადატანილი სასწავლო მოსასმენი მასალით და სხვადასხვა სახეობის მოსასმენი აპარატურით. კოლეჯი აძლევს შანსს სტუდენტებს, სწავლის პერიოდშივე გახდნენ წარმატებულები: კოლეჯის სტუდენტები მონაწილეობენ შიდა, საქალაქო და რესპუბლიკურ კონცერტებში, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსსა და ფესტივალში. კოლეჯის გოგონათა გუნდი საერთაშორისო საგუნდო კონკურსების ოთხგზის გრან-პრის და არაერთი ოქროს მედლის ლაურეატია; აქტიურად თანამშრომლობს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან. კოლეჯის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან საჯარო და სამუსიკო სკოლებსა და სკოლამდელ საალმზრდელო დაწესებულებებში, შემოქმედებით კოლექტივებში.

2019 წლიდან კოლეჯში დაინერგა მოდულური პროგრამები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პიანისტ-აკომპანიატორი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის რეპეტიტორი. 2020 წლის მაისში განხორციელდა ცვლილებები აღნიშნულ პროგრამებში. დღეს მოქმედი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ,,სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას პიანისტ-აკომპანიატორისა და მუსიკის რეპეტიტორის კონცენტრაციების საფუძველზე.

ქ. გორი, სამეფო ქ. N17

0370 27 35 11; 577 55 72 71

gori.college@yahoo.com

www.gorimuscollege.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი. კვალიფიკაცია - ,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

პროგრამის ხანგრძლივობა - 28 თვე; პროგრამის მოცულობა - 144 კრედიტი.

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია პროფესიულ დონეზე ფორტეპიანოზე დაკვრა; სოლისტი-ინსტრუმენტალისტის, სოლისტი-ვოკალისტის, ვოკალური ანსამბლის და გუნდის აკომპანირება; საგანმანათლებლო და სარეპეტიციო საქმიანობის განხორციელება; სარეპეტიციო პროცესის წარმართვისას მუსიკისადმი ემოციურ-ფასეულობითი მიდგომის ჩამოყალიბება და განვითარება; მხატვრული გემოვნების, წარმოსახვის უნარის, მხატვრული აზროვნების , მუსიკალური მეხსიერების, სმენის, რითმის, საშემსრულებლო ჩვევების, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საჯარო ან/და კერძო სექტორი; როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი ორგანიზაციები. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები (დაწყებითი საფეხურები); სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები; მუსიკალური და თეატრალური სტუდიები, შემოქმედებითი კოლექტივები. მუსიკალური, სახელოვნებო ან/და ფართო პროფილის ორგანიზაციები, ტელევიზია, კინოწარმოება, თეატრი, მუსიკალური სასწავლო სტუდია, საპროდიუსერო ცენტრი. ასევე, შეუძლია იყოს თვითდასაქმებული და ეწეოდეს კერძო პროფესიულ პრაქტიკას.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“. კვალიფიკაცია - ,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

პროგრამის ხანგრძლივობა - 20 თვე; მოცულობა - 108 კრედიტი.

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია პროფესიულ დონეზე ფორტეპიანოზე დაკვრა; სოლისტი-ვოკალისტისა და ვოკალური ანსამბლის აკომპანირება; საგანმანათლებლო და სარეპეტიციო საქმიანობის განხორციელება, სარეპეტიციო პროცესის წარმართვისას ან სარეპეტიციო პროცესის მიმდინარეობისას, მუსიკისადმი ემოციურ-ფასეულობითი მიდგომის ჩამოყალიბება და განვითარება; მხატვრული გემოვნების, წარმოსახვის უნარის, მხატვრული აზროვნების, საშემსრულებლო ჩვევების, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საჯარო ან/და კერძო სექტორი; როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი ორგანიზაციები. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები (დაწყებითი საფეხურები); სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები; მუსიკალური და თეატრალური სტუდიები, შემოქმედებითი კოლექტივები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ); მუსიკალური, სახელოვნებო ან/და ფართო პროფილის ორგანიზაციები, ტელევიზია, კინოწარმოება, თეატრი, მუსიკალური სასწავლო სტუდია, თეატრალური სასწავლო სტუდია, საპროდიუსერო ცენტრი. ასევე, შეუძლია იყოს თვითდასაქმებული და ეწეოდეს კერძო პროფესიულ პრაქტიკას.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი 2015 წელს, სს საქართველოს რკინიგზის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაარსდა. კოლეჯმა წარმატებით განახორციელა ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ (MCA-Georgia) მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის” (ISWD), რომლის ძირითადი მიზანია პროფესიული სწავლების დუალური მეთოდის განვითარება სარკინიგზო დარგში და სარკინიგზო შრომის ბაზრის გაუმჯობესება. კოლეჯის პარტნიორები არიან - ,,Deutsche Bahn International“ GmbH, Germany და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ. კოლეჯში შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სწავლის მაღალ დონეს კი უზრუნველყოფს მასწავლებლების კვალიფიციურობა და საგანმანათლებლო პროგრამები.

კოლეჯის მისიაა სარკინიგზო ინდუსტრიის უზრუნველყოფა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით; ასევე, პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის იმ წინაპირობების შექმნა, რომლებიც მიმართულია პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კოლეჯის ძირითადი მიზანია სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ პროფესიონალი კადრების მომზადება, დასაქმებულთა საშუალო ასაკის შემცირება და ინტერესის გაზრდა რკინიგზის დარგის მიმართ. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს თანამედროვედ აღჭურვილ სასწავლო გარემოში, ბიზნესთან წარმატებული პარტნიორობით, მოდერნიზებული სასწავლო პროგრამებითა და მასალებით. კოლეჯის შენობა სრულად ადაპტირებულია ინკლუზიური სწავლების სტანდარტების მიხედვით, სსსმ და შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისად.

დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპს გადიან სს „საქართველოს რკინიგზაზე“ და იღებენ ანაზღაურებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები გარანტირებულად დასაქმდებიან სს „საქართველოს რკინიგზაში“.

თბილისი, თემქის დასახლება,
XI მკ.რ. III კვ; ნაკვეთი (01/10)

577 178 065; 574 494 494

info.rtc2016@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- რკინიგზის ელექტრო მომარაგების მეურნეობა - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- ლოკომოტივის მართვა - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- სავაგონო მეურნეობა - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- სარკინიგზო გადაზიდვები - სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება -
- სწავლის ხანგრძლივობა - 24 თვე

კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

-
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - სწავლის ხანგრძლივობა - 14 თვე
- მეჩარხე - სწავლის ხანგრძლივობა - 17 თვე
- შედუღება - 15 თვე
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები - 23 თვე

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- რკინიგზის ელექტრომომარაგება - (ინტეგრირებული) – 31 თვე
- სარკინიგზო გადაზიდვები - (ინტეგრირებული) - 31 თვე
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - (ინტეგრირებული) - 31 თვე
- სავაგონო მეურნეობა - (ინტეგრირებული) - 31 თვე
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება - (ინტეგრირებული) - 31 თვე

- ტექნიკური ნახაზების მხაზველი (პროფესიული მომზადება) - 9 კვირა
- სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება) - 8 კვირა
- სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე (პროფესიული
- გადამზადება) - 14 კვირა
- საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება) - 8 კვირა
- არგონ-რკალური შემდუღებელი (პროფესიული გადამზადება) - 12 კვირა
- დეფექტებისა და დაზიანებების ვიზუალური გამოვლენა ლიანდაგის ზედა ნაშენის
- ელემენტებში (პროფესიული გადამზადება) - 7 კვირა
- ელექტრო შემდუღებელი (პროფესიული მომზადება) - 11 კვირა

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი (აფრიკის დასახლება)

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „სპექტრი“ მრავალპროფილური სასწავლებელია, რომლის ისტორიაც 1922 წლიდან იწყება. „სპექტრი“ პროფესიულ პროგრამებს ინჟინერიისა და ხელოვნების მიმართულებით ახორციელებს.

პროფესიათა უმრავლესობა სამშენებლო მიმართულების კვალიფიკაციების აღორძინებას და სრულყოფას ემსახურება, რაც, სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე კვალიფიციური მუშახელის მომზადებას ითვალისწინებს.

21-ე საუკუნეში დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ ადამიანურ კაპიტალზე, ამიტომ „სპექტრი“ ცდილობს სტუდენტებს/მსმენელებს სხვადასხვა ტიპის პროგრამები შესთავაზოს, რათა მაქსიმალურად გაზარდოს მათი დასაქმების პერსპექტივა. ჩვენ გვყავს 100-ზე მეტი პარტნიორი კომპანია, რომლებსაც კარგად ესმით, რომ ცოდნისა და უნარების განვითარებაში შეტანილი წვლილი მათივე ბიზნესის მდგრადი განვითარების გარანტიაა.

კოლეჯის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა. შენობა ადაპტირებულია უნივერსალური დიზაინისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის სტანდარტების გათვალისწინებით. კოლეჯში არის დამატებითი დამხმარე სერვისები სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის.

ინოვაცია სწავლებაში კოლეჯის ერთ-ერთი პრიორიტეტია. „სპექტრს“ აქვს თანამედროვედ აღჭურვილი 23 კაბინეტ-ლაბორატორია, მათ შორის, 7 ბრენდირებული, 13 სასწავლო სახელოსნო, 3 ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია (FABLAB), ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი.

2022 წლიდან კოლეჯი „სპექტრი“, კომპანია „ევრომასტერთან“ ერთად, ახორციელებს დუალურ პროფესიულ პროგრამას „წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“. სპეციალურად ამ პროგრამისთვის კოლეჯის ტერიტორიაზე აშენდა საწარმო.

2023 წლიდან კოლეჯს შეემატება კერამიკის ახალი სახელოსნო და ამ პროფილით მომზადება/გადამზადების პროგრამა. სახელოსნოს სრული აღჭურვა უზრუნველყო თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TİKA) თბილისის საკოორდინაციო ოფისმა.

თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10
(აფრიკის დასახლება)

+995 598 630 969

spectri.org@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ელექტრობა
- ელექტრობა
- შემდუღებელი
- წყალარინების სისტემები (დუალური)
- წყალმომარაგების სისტემები
- ჰაერის კონდიცირება
- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
- ვებტექნოლოგიები
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- საავტომობილო გზების მშენებლობა
- სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი
- სახვითი ხელოვნების სპეციალისტი
- იატაკისა და ფილის სამუშაოები
- ქვის სამუშაოების მწარმოებელი
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი
- ხის მხატვრული დამუშავება
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ჰაერის კონდიცირების მონტაჟი და მომსახურება
- ხის დამუშავების სპეციალისტი (დურგალი)
- ხეზე მხატვრული კვეთა
- ელექტრო მემონტაჟე
- ინტერიერისა და ექსტერიერის მღებავი
- შემდუღებელი (ელექტრორკალური)
- გათბობისა და წყალგამაცხელებელი სისტემების მემონტაჟე
- სანტექნიკის შიდა სისტემების მემონტაჟე
- სხვადასხვა სახის იატაკის მოწყობა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „თსუ“) არის პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 2007 წლიდან, იმ დროიდან მოქმედებს, როდესაც საქართველოში უმაღლესი პროფესიული პროგრამების დანერგვა და განხორციელება დაიწყო. წლების განმავლობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე მიმდინარეობდა.

2015 წლიდან თსუ-ში დაიწყო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. აღნიშნული პროგრამების დამატება მოხდა მოდულური პროგრამების დანერგვისა და ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უშუალო ხელშეწყობით.

2019 წლის ივნისიდან თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ადმინისტრირება ახლად შექმნილ დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, „თსუ პროფესიული განათლების ცენტრს“ დაევალა. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს თბილისსა (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N2) და ქუთაისში (მისამართი: ნიკეას მე–2 შესახვევი, N 8).

თსუ პროფესიული განათლების ცენტრს ყავს არაერთი წარმატებული კურსდამთავრებული, რომლებიც დასაქმებულნი არიან საჯარო და კერძო სექტორში. მეტი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/vocational-center

თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ 100%-ით. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ორივე ლოკაციის ინფრასტრუქტურა სრულად არის რეაბილიტირებული და სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს დარგის მაღალკვალიფიციური მასწავლებლების ჩართულობით.

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2

032 2 25 04 84

cve@tsu.ge

https://tsu.ge/ka/vocational-center
www.fb.com/TSUVET

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის სახელწოდება	განხორციელების ქალაქი	თვე	დონე
• ბუღალტრული აღრიცხვა	თბილისი/ქუთაისი	17	5
• სკოლამდელი აღზრდა	თბილისი/ქუთაისი	20	5
• საბაჟო საქმე	თბილისი/ქუთაისი	14	5
• ღონისძიების ორგანიზება	თბილისი/ქუთაისი	10	4
• საოფისე საქმე	თბილისი/ქუთაისი	10	4
• საბიბლიოთეკო საქმე	თბილისი/ქუთაისი	14	4
• სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	ქუთაისი	14	4
• საფინანსო სერვისები	თბილისი/ქუთაისი	9	3

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები (ქუთაისის ლოკაცია):

- სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა
- სალაროს ოპერაციების განხორციელება სავაჭრო ობიექტებში
- საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი

მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა (თბილისის ლოკაცია):

- „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“

პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://bit.ly/45hXyLd

თსუ „მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

1989 წელს დოკუმენტური და სამეცნიერო ფილმების ავტორ-ოპერატორის, ზურაბ ოშხნელის ინიციატივით შექმნილმა საყმაწვილო-სატელევიზიო სტუდიამ სათავე დაუდო საქართველოში არაფორმალურ და ფორმალურ პროფესიულ განათლებას ფოტოგრაფიაში, მედიასა და სატელევიზიო ხელოვნებაში.

1992 წელს ზურაბ ოშხნელმა, კოლეგებთან ერთად, დააფუძნა ტელეპროფილური სამწლიანი კერძო სკოლა არასრული ზოგადი განათლების მქონე მოსწავლეებისთვის. 1993 წლიდან სკოლა გადაკეთდა ტელეპროფილურ ლიცეუმად და გადავიდა სახელმწიფო დაფინანსებაზე. 1995 წელს ზურაბ ოშხნელის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოში შეიქმნა სატელევიზიო ხელოვნების პირველი უმაღლესი პროფესიული სკოლა.

2000 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტელე-რადიო კორპორაციის წარდგინებებით, ტელეპროფილური ლიცეუმი გადაკეთდა მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯად. 2006 წელს კოლეჯი დაფუძნდა სსიპ მედიის, რეკლამისა და სატელევიზიო ხელოვნების კოლეჯის სახელწოდებით. 2007 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სსიპ მედიის, რეკლამისა და სატელევიზიო ხელოვნების კოლეჯი შეუერთდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და 11 წლის მანძილზე ახორციელებდა ფოტო, სატელევიზიო და მედია მიმართულებების უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის დადგენილებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის ინტელექტუალურ და ტექნიკურ ბაზაზე შეიქმნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი, რომელიც ახორციელებს მეოთხე და მეხუთე დონის (უმაღლეს) შვიდ პროფესიულ პროგრამას.

კოლეჯმა:

2019 და 2022 წლებში, ტელეხიდის ფორმატით, განახორციელა საერთაშორისო ვიდეოპროექტი აშშ-ის პარტნიორ სკოლასთან;

2020 წელს შექმნა სტუდენტური კლუბი "პარაშუტი", რომელიც ამზადებს აუდიო, ფოტო და ვიდეო პროდუქციას;

2020 წელს ტელესკოლისთვის მოამზადა 300 ვიდეოგაკვეთილი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქუჩა N68

+ 995 322 910 260

info@cmtv.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფოტოგრაფია
- ტელე-რადიოწამყვანი
- რეპორტიორი
- სატელევიზიო-კომპიუტერული გრაფიკა
- ვიდეომონტაჟი
- ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება
- ტელერეჟისურა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი

ინფორმაცია ცენტრის შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ქვეყნის საჭიროებიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე. უნივერსიტეტს გააჩნია უწყვეტი განათლების შეთავაზების სათანადო რესურსი და მაღალი პოტენციალი. უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მეტწილად ტექნიკური მიმართულებისაა, თუმცა, წარმატებით ხორციელდება სხვა პროგრამებიც.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი ახორციელებს 27 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ჩართულია 400-ზე მეტი პროფესიული სტუდენტი. უნივერსიტეტს აქვს ორი ფილიალი - ტყიბულში და დიდ ჯიხაიშში, ასევე, სამეცნიერო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“; ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედებს, ასევე, რამდენიმე ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA Georgia) დაფინანსებით და BP საქართველოსთან პარტნიორობით, ქვეყნის საჭიროებიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დღესაც წარმატებით ხორციელდება და ხელს უწყობს კვალიფიციური სპეციალისტების გაზრდას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, კოსტავას ქუჩა № 68;
კახეთის გზატკეცილი №36;
ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N4;
სამტრედია, დიდი ჯიხაიში,
ნ. ნიკოლაძის ქ. N 126

2 365 155

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ჰაერის კონდიცირება
- საოფისე საქმე
- სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა
- ღონისძიების ორგანიზება
- ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება
- ავტომობილის ძრავას შეკეთება
- ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები
- სამკერვალო წარმოება
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება
- საბაჟო საქმე
- მექატრონიკა
- მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი
- მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი
- გრაფიკული დიზაინის შესრულება
- ხის მხატვრული დამუშავება
- სარკინიგზო გადაზიდვები
- სამრეწველო ავტომატიზაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯში ხორციელდება ოთხი პროგრამა:

- საბუღალტრო აღრიცხვა
- მეფუტკრეობა
- მევენახეობა
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- სამთო ტექნიკოსი
- სამთო ელექტრომექანიკოსი
- მყარი წიაღისეულის ტექნოლოგიის სპეციალისტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი
- მღებავი
- მებათქაშე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ამფეთქებელი
- ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი)
- ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)
- ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერებისა და ღუმელების მონტაჟი)
- ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ქალაქი ფოთი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ფაზისი“ დაარსდა 1957 წელს და ბევრჯერ შეიცვალა იურიდიული სტატუსი, თუმცა ძირითადი პროფილი უცვლელი რჩება. ამუამად ბაზარზე მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი „ფაზისი“. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ არის მრავალპროფილური პროფესიული დაწესებულება.

კოლეჯი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია განთავსებული და აქვს ფილიალი ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევში. კოლეჯის მისიაა, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადება და თავისი წვლილის შეტანა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში.

კოლეჯი „ფაზისი“ ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. სწავლება მიმდინარეობს მოდულური, დუალური და ინტეგრირებული მიდგომებით. ძირითადი მიმართულებებია: აგრარული მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება, ინჟინერია, ხელოვნება, განათლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად კოლეჯს აქვს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებიც, სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-კურსები, ასევე, კოლეჯი ჩართულია სტუდენტური და პრე-სტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში.

კოლეჯში ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია „ფაბლაბი“, რომელიც პროფესიული განათლების ყველა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, დამატებით შეიძინოს ახალი უნარები, რეალობად აქციოს ინოვაციური იდეები კვალიფიციური პერსონალისა და თანამედროვე დანადგარების დახმარებით.

კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; სასწავლო გარემო ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირებისთვის როგორც სასწავლო, ასევე ადამიანური რესურსით. საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების სტუდენტების/მსმენელების კოორდინირებული თანამშრომლობით. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, ატელიეები, საჯარო დაწესებულებები, საქვეუწყებო ორგანიზაციები და ა.შ.). სოციალური პარტნიორობის მაღალი ხარისხი მისი ძლიერი მხარეა. კოლეჯს ქვეყნის გარეთაც ყავს არაერთი ძლიერი პარტნიორი, რომელთაგან ერთ-ერთია ,,ერბერჰარდ შოკი“. გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციის ,,ერბერჰარდ შოკის'' ფონდის მიერ განხორციელდა სადურგლო სახელოსნოს მშენებლობა, სასწავლო სახელოსნო აიგო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება'' და პროფესიული მომზადების პროგრამის „ლამინირებული და ხის იატაკისა და კარ-ფანჯრების მოწყობა“ ფარგლებში. "ებერჰარდ შოკის ფონდი"-ს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით (მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ) ჩატარებულ იქნა ტრენინგი მზის პანელების მონტაჟსა და გამოყენებასთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით გადამზადდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი; აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია საქართველოს კოლეჯების შესაბამისი პროფილის პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება კურსის "მზის პანელების მონტაჟი და გამოყენება" ფარგლებში, „ფაზისის“ ბაზაზე. ხორციელდება პერიოდული ვიზიტები გერმანელი ექსპერტების მხრიდან და ტარდება მასტერკლასები ხის მხატვრული დამუშავების მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების სტუდენტების/მსმენელებისათვის. კოლეჯის ტერიტორიაზე „ხის მხატვრული დამუშავების“ სადურგლო/სახელოსნოს გარდა, ფუნქციონირებს შედუღების, ძრავისა და სავალი ნაწილის მსუბუქი ავტომობილის შეკეთების სახელოსნოები.

კოლეჯი არის ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 9001:2015 სერტიფიკატის მფლობელი.

ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54,
ხობის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ნოჯიხევი

+995 (493) 275306

poti.pazisi@yahoo.com
college@phazisi.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

მოდულური/ფოთი:
- ბუღალტრული აღრიცხვა - V დონე - 16 თვე
- სკოლამდელი აღზრდა - V დონე - 21 თვე
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები - V დონე - 20 თვე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - IV დონე - 16,5 თვე
- სასტუმროს მომსახურება - IV დონე - 16 თვე
- ამწის ოპერირება - IV დონე - 12,5 თვე
- თევზის გადამუშავება - IV დონე - 21 თვე
- ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში - IV დონე - 24 თვე
- ფერმერობა მეთევზეობაში - IV დონე - 21,5 თვე
- სარესტორნო მომსახურება - IV დონე - 18 თვე
- საფინანსო სერვისები - III დონე (არანაკლებ 17 წლისა) – 9,5 თვე
- ინფორმაციის ტექნოლოგია - III დონე - 11 თვე
- ელექტრობა - III დონე - 9 თვე
- შედუღება - III დონე - 6 თვე
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება - III დონე - 11 თვე
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება - 11 თვე
- სამკერვალო წარმოება - III დონე - 19 თვე
- თმის მომსახურება - III დონე - 12 თვე
- ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება - III დონე - 7,5 თვე
- ფლორისტიკა - III დონე - 10 თვე
- ხის მხატვრული დამუშავება - III დონე - 19 თვე
- ინტეგრირებული/ფოთი:
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - IV დონე - 32 თვე
- საოფისე საქმე - IV დონე - 32 თვე
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები - IV დონე - 32 თვე
- სასტუმროს მომსახურება - IV დონე - 32 თვე
- ამწის ოპერირება - IV დონე - 32 თვე
- ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში - IV დონე - 32 თვე
- თევზის გადამუშავება - IV დონე - 32 თვე

დუალური /ფოთი:
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - IV დონე- 12,5

მოდულური/ხობი:
- 1.სკოლამდელი აღზრდა - V დონე - 21 თვე
- 2.აგრომექანიზაცია - IV დონე - 17 თვე
- 3.მებაღეობა - IV დონე - 15 თვე
- 4.ფერმერი მემცენარე - IV დონე -16 თვე
- 5.თმის მომსახურება - III დონე - 12 თვე
- 6.ელექტრობა - III დონე - 9 თვე

ინტეგრირებული/ხობი:
- 1.ფერმერი მემცენარე - IV დონე - 32 თვე
- 2. თევზის გადამუშავება - IV დონე - 32 თვე

- ძიძა - ბავშის მოვლა
- სასტუმროს ფრონტ-ოფის მენეჯერი
- ლამინირებული და ხის აიტაკისა და კარ-ფანჯრების მოწყობა
- თევზის ხელოვნური ინკუბირება - ლარვების გამოყვანა და ლიფსიტების გამოზრდა
- ქალის თმის შეჭრა-შელებვა (ფოთი)
- ქალის თმის შეჭრა-შელებვა (ხობი)
- ქალის მსუბუქი ტანსაცლის მოდელირება და კერვა
- ელექტრული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია (ფოთი)
- ელექტრული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია (ხობი)
- IT ტექნოლოგიები (ფოთი)
- IT ტექნოლოგიები (ხობი)
- ხელით ელექტრორკალური შედუღება
- პირველადი დახმარება

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“

სოფელი სარკინეთი, დმანისის რაიონი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

„შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“ უპრეცედენტო არაკომერციული კერძო ინიციატივაა საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში. კოლეჯის მთავარი მიზანია, იყოს სასოფლო-სამეურნეო საგანმანათლებლო სტრუქტურის მაგალითი ქვეყნის მასშტაბით. შვეიცარიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი კოლეჯი სპეციალიზებულია მეცხოველეობაში, რძის გადამუშავებაში და ყველის წარმოებაში.

კოლეჯი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

- 2-წლიანი პროფესიული პროგრამა მეცხოველეობაში, რძის გადამუშავებასა და რძის პროდუქტების წარმოებაში
- მოკლევადიანი პროფესიული კურსები ფერმერებისა და მოყვარულებისათვის; ფერმერთა კონსულტაციები
- აგრარული კოლეჯების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება შვეიცარიულ პარტნიორ კოლეჯთან თანამშრომლობით.

თეორიულ სწავლებასთან ერთად, უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკული განათლებაც. ამ მიზნით, კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ყველის ქარხანა. პროფესიონალი მასწავლებლების მეთვალყურეობით სტუდენტები თავად წარმართავენ ფერმის ყოველდღიურ საქმიანობას, ამზადებენ საკვებს ფერმისთვის, მუშაობენ ლაბორატორიაში, ამუშავებენ რძეს და რძის პროდუქტებს. პროდუქცია საქართველოსა და უკვე უცხოეთის ბაზარზეც იყიდება.

თბილისი, რუსთაველის გამზირი, 52

599 78 11 07

info@sasc.ge

www.sasc.ge

https://www.facebook.com/SwissAgriculturalSchoolCaucasus

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფერმერი
- რძის პროდუქტების წარმოება

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ცხოველთა მოვლა
- ცხოველთა კვება
- ცხოველთა ჯანმრთელობა
- რძის გადამუშავება
- მემცენარეობა და აგრომექანიზაცია
- საძოვრების მართვა და საკვების კონსერვაცია

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიული განათლების მიმართულებით წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებისა და განვითარების საფუძველზე, 2020 წელს ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების ცენტრი. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი მრავალპროფილურია და ყავს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, მრავალფეროვნებით ხასიათდება პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც. ცენტრის მიერ ხორციელდება 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც ერთიანდება ბიზნესის, ლოჯისტიკის, მშენებლობისა და საავტომობილო სერვისების მიმართულებით. ყველა მოქმედი პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ლაბორატორიებით, ტექნიკითა და აღჭურვილობით, რაც შესაძლებელს ხდის პრაქტიკული ცოდნის მიღებას და ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

გარდა ამისა, პროფესიული განათლების ცენტრი, შესაბამისი პროგრამების მიხედვით, მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო სექტორთან და მათთან პარტნიორობით ქმნის მეტ შესაძლებლობებს პრაქტიკული ცოდნისა და დასაქმების კუთხით. პროფესიული განათლების ცენტრი ამჟამად აერთიანებს 234 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის, რამდენიმე სსსმ პირს და უზრუნველყოფს მათთვის ადაპტირებულ გარემოსა და ხელმისაწვდომ სასწავლო პროცესს. ცენტრი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებასა და ჯანსაღი სტუდენტური გარემოს არსებობაზე, რისთვისაც აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების მიმართულებით. 2022 წლის განმავლობაში ცენტრმა განახორციელა ააიპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს დაწესებულებაში

შექმნილი ახალგაზრდული კლუბი, რომელიც აერთიანებს ყველა პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს. 2023 წელს კი ცენტრმა შეიმუშავა ექსტრაკურიკულური აქტივობების 5 პროექტი, რომლებიც ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

პროფესიული განათლების ცენტრის მიზანია, განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტებს, გახდნენ პროფესიონალი რეალიზებული კადრები.

ქ. ქუთაისი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი №21

577 604 098

Giorgi.Okribelashvili@atsu.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- აღმზრდელი
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება
- სამკერვალო წარმოება
- მხატვრული ქსოვილები
- საბაჟო საქმე
- საბიბლიოთეკო საქმე
- საოფისე საქმე
- ბუღალტრული აღრიცხვა
- საფინანსო სერვისები
- სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკა
- საავტომობილო გზების მშენებლობა
- ელექტრობა
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
- ბაღის დიზაინი
- სარესტორნო მომსახურება
- ღონისძიებების ორგანიზება

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზება
- მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა
- მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის ტექნიკოსი.

დამატების გზით განხორციელების უფლებამოპოვებული გადამზადების პროგრამა:

- ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი"

ქალაქი მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი დაარსდა 1883 წელს. სკოლა ქველმოქმედმა ილია წინამძღვრიშვილმა სოფელ წინამძღვრიანთკარში, საკუთარ მამულში, თავისი სახსრებით და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებისა და ილია ჭავჭავაძის თანადგომით გახსნა.

კოლეჯს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი – იყო სკოლა, სასწავლებელი, ტექნიკუმი. 2014 წელს მას ეწოდა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი. დღეისათვის სწავლა მიმდინარეობს 34 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე როგორც აგრარულ, ასევე ყველა იმ სპეციალობაზე, რომელიც აქტუალურია მცხეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის.

კოლეჯს აქვს 6 მომზადება-გადამზადების პროგრამა სხვადასხვა პროფესიის ზრდასრული ადამიანებისათვის. სტუდენტთა მეტი ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი მცხეთის რაიონის მუნიციპატილეტებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის შრომის ბაზრის შესწავლა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, სასწავლო პროგრამები შედგენილია დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია პრაქტიკულ უნარებზე.

კოლეჯი მაქსიმალურად ზრუნავს თითოეულ სტუდენტზე და ქმნის მათზე მორგებულ გარემოს, სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს ევროპის წამყვან ქვეყნებში: გერმანიაში, საფრანგეთსა და ჩეხეთში. გაცვლით პროგრამებში კოლეჯის არაერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა და წარმატებით დაასრულა სწავლა.

კოლეჯში ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას, თავად შექმნან და განახორციელონ პროექტები. კლუბის წევრები მუდმივად გეგმავენ სასწავლო, შემეცნებით და გასართობ აქტივობებს.

კოლეჯში, ასევე, ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც აცნობს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სამუშაო შესაძლებლობებს; ეხმარება რეზიუმეს, სამოტივაციო წერილისა და ინტერვიუების მომზადებაში. აღნიშნული სამსახური დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში. კოლეჯი კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი

577 215 090

tmkcollege@tmk.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

წინამძღვრიანთკარის სასწავლო ფართში:
- სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული)
- თმის მომსახურება (მოდულური)
- აღმზრდელი (მოდულური)
- ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)
- ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური)
- ელექტრობა (მოდულური)
- მევენახეობა და მეღვინეობა (დუალური)
- ვეტერინარია (დუალური)
- სასმელების წარმოება (მოდულური)
- სატყეო საქმე (მოდულური)
- მეხილეობა (ინტეგრირებული)
- მეხილეობა (მოდულური)
- ღონისძიების ორგანიზება (ინტეგრირებული)
- ღონისძიების ორგანიზება (მოდულური)
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური)
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)
- კულინარიის ხელოვნება (დუალური)
- მეფუტკრეობა (მოდულური)
- სამკერვალო წარმოება (მოდულური)
- რძის პროდუქტების წარმოება (დუალური)
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება (დუალური)
- ხის მხატვრული დამუშავება (მოდულური

დაბა თიანეთის სასწავლო ფართში:
- მეხილეობა (ინტეგრირებული)
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური)
- ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური)
- მეფუტკრეობა (მოდულური)
- ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)

დაბა სტეფანწმინდის სასწავლო ფართში:
- ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)
- ელექტრობა (მოდულური)

- 1.ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება - (ამ ეტაპზე მიმდინარე მხოლოდ ეს პროგრამაა)
- 2. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და უსაფრთხოება
- 3. ბუღალტერ-ანალიტიკოსი
- 4. მცენარეთა დაცვის სამუშაოების წარმოება
- 5. მერქნისა და მერქნული მასალებისგან ნაკეთობების დამზადება
- 6. ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

ქალაქი ჯვარი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი,
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი 2007 წელს დაფუძნდა, როგორც პროფესიული სწავლების ცენტრი. 2011-2019 წლებში ფუნქციონირებდა პროფესიული კოლეჯის სახით, 2019 წლიდან კი ის სსიპ კოლეჯი „ლაკადაა“.

კოლეჯი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის მოსაზღვრე ტერიტორიასთან ახლოს და ორიენტირებულია რეგიონის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და დაინერგა სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები. დღეისათვის კოლეჯს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამები სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, მომსახურების, სამრეწველო წარმოების, ბიზნესის ადმინისტრირების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მშენებლობის წარმოების მიმართულებით ხორციელდება კერძო სექტორთან თანამშრომლობით. კოლეჯი მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების, ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმებას.

ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2

595 50 66 32

ssipjvari@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- შედუღება - მესამე დონე
- საფინანსო სერვისები - მესამე დონე
- კედლის დაფარვის სამუშაოები - მესამე დონე
- ინფორმაციის ტექნოლოგია - მესამე დონე
- კულინარიის ხელოვნება - მესამე დონე
- სამკერვალო წარმოება - მესამე დონე
- ხის მხატვრული დამუშავება - მესამე დონე
- მეხილეობა - მეოთხე დონე
- იატაკისა და ფილის სამუშაოები - მესამე დონე
- ელექტრობა - მესამე დონე
- ელექტრობა - მეოთხე დონე
- ელექტრობის მეოთხე დონის ინტეგრირებული მეოთხე დონე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - მეოთხე დონე
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების ინტეგრირებული მეოთხე დონე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- ლურჯი მოცვის გაშენება-მოვლა
- შიდა ელექტროგაყვანილობის მემონტაჟე
- შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და მარტივი შიდა ქსელის გამართვა
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა
- ინტერიერისა და ექსტერიერის მღებავი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული უნარების საგენტო

UNDP